

სააქციო საზოგადოება „თელასი“

დამტკიცებულია:

სს „თელასის“ აქციონერთა საერთო კრების მიერ

_____ 2018 წ.

ოქმი _____ 2018 წ.

წინასწარ დამტკიცებულია:

სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ

2018 წლის 13 აპრილის ოქმი 198

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

_____ დ.ე. ვოლკოვი

წლიური ანგარიში

2017 წელს გაწეული სამუშაოს შედეგების
მიხედვით

გენერალური დირექტორი

ს.ნ. კობცევი

ფინანსური დირექტორი

ა.ლ. ბალჩუგოვი



შინაარსი

გვ.

I. ძირითადი მოვლენები.....	4
II. სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის და გენერალური დირექტორის მიმართვა.....	6
III. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში საზოგადოების საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად განვითარების შედეგების შესახებ.....	8
IV. ძირითადი სტრატეგიული მიზნები და მათი რეალიზაცია.....	9
V. საზოგადოების მდგომარეობა დარგში: ბაზარი, მარკეტინგი, გაყიდვები	10
VI. ინფორმაცია ენერგეტიკული რესურსების გამოყენების მოცულობის შესახებ.....	12
VII. საზოგადოების საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები. საწარმოო საქმიანობა	13
საზოგადოების საქმიანობის ფინანსური მაჩვენებლები.....	13
საზოგადოების ოპერაციული საქმიანობის შედეგების სტრუქტურა...	15
სტრუქტურის და აქტივების დინამიკის ანალიზი.....	16
საზოგადოების საქმიანობის საწარმოო მაჩვენებლები.....	18
ელექტრული ქსელების მახასიათებლები.....	20
ავარიულობა. ტექნოლოგიური დარღვევები.....	21
ტექნიკური ზედამხედველობა.....	21
2017 წ. სს „თელასის“ ქსელზე ტექნოლოგიური მიერთებები.....	22
საქმიანობა რემონტების დარგში.....	23
ელექტრულ ქსელებში ელექტროენერჯის დანაკარგები.....	24
VIII. საზოგადოების განვითარების პერსპექტივები	24
IX. საინვესტიციო საქმიანობა	25
X. შესყიდვების საქმიანობა.....	26
XI. საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების ძირითადი ფაქტორების აღწერილობა.....	28
XII. საზოგადოების საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ	30
XIII. ფინანსური ანგარიშების შედგენის პროცესთან დაკავშირებული რისკების შიდა კონტროლის და მართვის სისტემების მიმოხილვა.....	32

IV. ანგარიში საზოგადოების აქციების შესაბამისად გამოცხადებული (დარიცხული) დივიდენდების გადახდის შესახებ	33
XV. საზოგადოების სააქციო კაპიტალის სტრუქტურა	33
XVI. აქციონერთა და აქციონერთა საერთო კრების უფლებების და მათი განხორციელების წესების მიმოხილვა.....	34
XVII. კორპორაციული მართვა. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა.....	35
XVIII. საზოგადოების გენერალური დირექტორი	38
XIX. საზოგადოების მიერ 2017 წელს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისათვის გადხდილი ანაზღაურების განსაზღვრის და ოდენობის კრიტერიუმები	39
XX. საზოგადოების შიდა კონტროლის სისტემის დახასიათება.....	39
XXI. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა.....	41
XXII. გარემოს დაცვა.....	44
XXIII. ცნობები საზოგადოების მიერ საანგარიშო წელიწადში განხორციელებული მსხვილი გარიგებების შესახებ.....	45
XXIV. ცნობები საზოგადოების მიერ კორპორაციული კოდექსის დაცვის შესახებ.	45
XXV. ცნობები საზოგადოების წმინდა აქტივების მდგომარეობის შესახებ.....	45
XXVI. დამატებითი ინფორმაცია აქციონერთათვის	47
XXVII. დანართი 1 2017 წლის კონსოლიდირებული /არაკონსოლიდირებული ფინანსური და ბუღალტრული ანგარიშგება	
XXVIII. დანართი 2 ანგარიში სამეთვალყურეო საბჭოს დავალებების შესრულების შესახებ 2017 წელს	48
XXIX. დანართი 3 ინფორმაცია სს „თელასის“ არაპროფილური აქტივების რეალიზაციის შესახებ 2017 წელს.....	61
XXX. დანართი 4 ანგარიში საზოგადოების მიერ საანგარიშო წელიწადში დადებული გარიგებების შესახებ, რომელთა დადებაში არის დაინტერესება	61

I. ძირითადი მოვლენები

<p>იანვარი</p>	<p>2017 წელს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მოთხოვნების (სემეკი) შესაბამისად (დადგენილება 13, 25.07.2016წ.), კომპანია „თელასმა“ დაიწყო საწარმოო ექსპლუატაციაში აბონენტების მომსახურების ხარისხის სტანდარტის შესრულების ახალი ბიზნეს-პროცესის დანერგვა, რომლის შესაბამისად მთელი ინფორმაცია რეალური დროის რეჟიმში (on-line) აისახება და კონტროლდება სემეკ-ის ელექტრონულ ჟურნალში.</p>
<p>30 მარტი</p>	<p>ჩატარდა საზოგადოების აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების მიხედვით დივიდენდების გადახდის შესახებ საზოგადოების გასული წლების გამოუყენებელი წმინდა მოგებიდან 20,000,000 (ოცი მილიონი) ლარი.</p>
<p>31 მარტი</p>	<p>სს „თელასმა“ დაასრულა სამუშაოები ცენტრალური გამანაწილებელი პუნქტის 3010 რეკონსტრუქციაზე.</p>
<p>10 მაისი</p>	<p>სს „თელასს“ გაუგრძელდა საერთაშორისო ეკოლოგიური სერტიფიკატის მოქმედება ISO 14001:2004.</p>
<p>22 მაისი</p>	<p>ჩატარდა საზოგადოების აქციონერთა წლიური საერთო კრება 2016 წლის მუშაობის შედეგებზე.</p>
<p>ივლისი-აგვისტო</p>	<p>სს „თელასმა“ განახორციელა ერთობლივი პროექტი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის დასაქმებაზე ზაფხულის პერიოდში, სეგხ 0,4 კვ ქსელის აღწერილობის მიზნით, 0,4კვ ქსელში ტექნოლოგიური</p>

	დანაკარგების კონკრეტული გაანგარიშებისათვის.
ივლისი	ჩატარდა სამუშაოები ერთიანი ბიზნეს-ცენტრის „ვარკეთილი“ შესაქმნელად, რომელიც ემსახურება თბილისის ორ რაიონს „ვარკეთილს“ და „სამგორს“.
ივნისი	დაიწყო მაღალი ძაბვის ქვესადგურის „ჩულურეთი“ მშენებლობა, ელექტროენერგიით თბილისის დაახლოებით 25 ათასი აბონენტის უწყვეტი მომარაგებისათვის.
29 სექტემბერი	სს „თელასმა“ აღნიშნა 80 წლის იუბილე.
ნოემბერი	სს „თელასმა“ დაასრულა სამუშაოები ქვესადგურის „დიდომი-35“ რეაბილიტაციაზე.
ნოემბერი	სს „თელასმა“ დაასრულა სამუშაოები ელექტროგადამცემი ხაზების „ვერა-1“ და „ვერა-2“ რეაბილიტაციაზე.
27 დეკემბერი	საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) 27.12.2017წ. 48 დადგენილებით შეტანილი იქნა ცვლილებები სემეკ-ის 04.12.2008წ 33 დადგენილებაში „ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“. აღნიშნული ცვლილებების შესაბამისად 2018 წლის 1 იანვრიდან კომპანია „თელასისთვის“ დადგენილი იქნა ელექტროენერგიის განაწილების, გატარების და მოხმარების ახალი ტარიფები საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებისა და სატრანზიტო აბონენტებისათვის ძაბვების მიხედვით.

II. სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის და გენერალური დირექტორის მიმართვა

პატივცემულო აქციონერებო,

წარმოგიდგენთ სს „თელასის“ 2017 წლის საქმიანობის შედეგებს.

ეს წელიწადი ჩვენთვის გახდა ახალი გამოწვევების, საზოგადოების წინაშე წამოჭრილი პრობლემების გადაჭრისადმი ახალი მიდგომების წელი და სტრატეგიის და ძირითადი პრიორიტეტების მკაცრი დაცვის ხარჯზე, შევძელით მისი დასრულება მაღალი საწარმოო და ფინანსური შედეგებით. ის, რომ შევძელით ყველა დასახული გეგმის რეალიზაცია - ეს შედეგია კომპანიის ყველა მენეჯერის და რიგითი თანამშრომლების შეთანხმებული მუშაობის.

ფინანსური თვალსაზრისით ძალიან რთული წლის მიუხედავად, საზოგადოებამ ღირსეულად დასძლია ყველა სიძნელე, შეასრულა ბიზნეს გეგმა და ყველა თავისი საინვესტიციო პროექტი. თუ ადრე საზოგადოების ყოველწლიური ინვესტიციები შეადგენდა 25-30 მილიონ ლარს, 2017 წელს კომპანიის მიერ დაბანდებული ინვესტიციების მოცულობამ შეადგინა 41,14 მლნ ლარი. ამ თანხიდან ტექნიკური გადაიარაღების, რეკონსტრუქციისა და კაპიტალური რემონტების პროექტების განხორციელებაზე დაიხარჯა 14,65 მლნ ლარი, ახალი აბონენტების მიერთების და ქსელის გაფართოების პროექტების რეალიზაციაზე – 19,1 მლნ ლარი, ხოლო ახალი ქვესადგურების მშენებლობაზე – 7,4 მლნ ლარი.

2017 წელს ჩვენი მუშაობის პრიორიტეტი იყო ისეთი საკითხების გადაჭრა, როგორებიცაა თბილისის ელექტრომომარაგების საიმედოობის და ეფექტურობის ამაღლება, ქალაქის ელექტრული ქსელის შემდგომი განვითარება, თანამედროვე მაღალეფექტური ტექნოლოგიების დანერგვა და მომხმარებლების მომსახურების ხარისხის ამაღლება.

2017 წელს კომპანიის კერძო და კომერციული მომხმარებლების რიცხვი გაიზარდა 4,9% და შეადგინა 600 ათას მომხმარებელზე მეტი. მომხმარებელთა მომსახურება ხორციელდება საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.

2017 წელს სს „თელასმა“ ჩაატარა სამუშაოები 110/35კვ ელექტრული ქსელის და 10/6 კვსადგურების მოდერნიზაციაზე, რემონტსა და პროფილაქტიკაზე, ასევე შეასრულა სამუშაოები მოძველებული 35/10/6კვ საკაბელო და საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზების შესაცვლელად.

მაღალი ძაბვის 8 კვსადგურზე და 95 სატრანსფორმატორო კვსადგურზე ჩატარდა მოძველებული მოწყობილობების შეცვლის სამუშაოები. დასრულდა 6/10 კვ ძაბვის 71 საკაბელო ხაზის და 0,4კვ ძაბვის 65 საკაბელო ხაზის რეკონსტრუქცია. გარდა ამისა, გაყვანილია 49 ახალი საკაბელო ტრასა.

2017 წელს შესრულებული სამუშაოების შედეგად, 2016 წელთან შედარებით, თბილისის ელექტრულ ქსელში ტექნიკური ინციდენტების რიცხვი შემცირდა 15,7%.

გარდა აღნიშნულისა, 2017 წელს კომპანია „თელასმა“ დაიწყო თბილისისათვის ძალიან მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება 35/6კვ ახალი ორტრანსფორმატორიანი კვსადგურის მშენებლობა, რომელიც შეცვლის მოძველებულ კვსადგურს „თეცი“. ახალი კვსადგური უზრუნველყოფს ჩუღურეთის რაიონის და მთაწმინდის რაიონის დაახლოებით

25 ათასი მომხმარებლის საიმედო ელექტრომომარაგებას. ქვესადგურის მშენებლობა დასრულდება 2018 წლის 1 აპრილისთვის.

სს „თელასი“ სოციალურად ორიენტირებული კომპანიაა, რომლის ძირითად ფასეულობას წარმოადგენენ მისი თანამშრომლები. კომპანია თანამშრომლებს უზრუნველყოფს სოციალური პროგრამების ფართო ჩამონათვალით, რომელიც გათვალისწინებულია, როგორც მოქმედი კანონმდებლობით, ისე დამატებით. სს „თელასის“ სოციალური პოლიტიკა მიმართულია 2 ათასზე მეტი თანამშრომლის ცხოვრების ღირსეული დონის და საზოგადოების ეფექტური მუშაობის უზრუნველყოფაზე.

კომპანია ახორციელებს ღონისძიებებს თანამშრომელთა სწავლებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად, შრომის უსაფრთხო და კომფორტული პირობების უზრუნველსაყოფად; პერსონალის მოტივაციის სისტემის სრულყოფისთვის; ვეტერანებისა და პენსიონერების მატერიალური დახმარების გასაწევად; ჯანმრთელობის დასაცავად და ცხოვრების ჯანმრთელი წესის მხარდასაჭერად.

განსაკუთრებით გვსურს გამოვყოთ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა კომპანიის ცხოვრებიდან - 2017 წელს სს „თელასმა“ აღნიშნა 80 წლის იუბილე. მთელი ამ წლების განმავლობაში კომპანია უზრუნველყოფს საქართველოს დედაქალაქის საიმედო და სტაბილურ ელექტრომომარაგებას. იუბილესთან დაკავშირებით დაჯილდოვდნენ „თელასის“ ყველაზე დამსახურებული თანამშრომლები, რომლებმაც კომპანიაში იმუშავეს 30 წელზე მეტი.

საზოგადოების სამეთაულურეო საბჭოს საქმიანობა მიმართული იყო საზოგადოების სტაბილურობის, მომგებიანობის და საინვესტიციო მიმზიდველობის უზრუნველყოფაზე, ასევე აქციონერთა ინტერესების დაცვაზე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

ჩვენი მთავარი მიზანია - ხელი შევუწყოთ კომპანიის კაპიტალიზაციის ზრდას ყველა აქციონერის ინტერესების თანახმად, საიმედო ენერგომომარაგების უზრუნველყოფით.

სს „თელასის“ მუშაობის პრიორიტეტი მომავალ წელსაც იქნება კომპანიის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა მშენებლობის და სიმძლავრეების მოდერნიზაციის საინვესტიციო პროგრამის რეალიზაციის, საგადახდო დისციპლინის გაძლიერებასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარების, დამატებითი სერვისების განვითარების საშუალებით მომხმარებელთა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების ხარჯზე.

ვვარაუდობთ, რომ მენეჯერთა ჩამოყალიბებულ ეფექტურ გუნდს და კოლექტივს გააჩნიათ საკმარისი პოტენციალი იმისათვის, რომ გადაჭრან დასახული ამოცანები 2018 წელშიც.

სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე
დიმიტრი ვოლკოვი

სს „თელასის“ გენერალური დირექტორი
სერგეი კობცევი

III. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში საზოგადოების საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად განვითარების შედეგების შესახებ

სს „თელასის“ საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებებია:

- საცალო და საბითუმო ბაზრებზე ელექტროენერჯის შექმნა და რეალიზაცია;
- მომხმარებელთა ელექტრომომარაგების საიმედო და ხარისხიანი უზრუნველყოფა;
- საზოგადოების მაქსიმალურად ეფექტური ქსელური ინფრასტრუქტურის ორგანიზება;
- საზოგადოების სტაბილური განვითარების პოტენციალის უზრუნველყოფა;
- ელექტრომომარაგების საიმედოობის და ხარისხის ამაღლება;
- საინვესტიციო მიმზიდველობის ამაღლება;
- საზოგადოების ყველა აქციონერის ინტერესების დაცვა.

საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო 2017 წელს საზოგადოების განვითარების შედეგებს პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით წარმატებულად აფასებს. სს „თელასმა“ წელიწადი დაასრულა 22 312 ათაის ლარის წმინდა მოგებით.

საანგარიშო წელს, სამეთვალყურეო საბჭოს მთელი საქმიანობა აქციონერთათვის გამჭვირვალედ რჩებოდა, რადგან სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების ყველა ოქმი ხელმისაწვდომია საზოგადოების ნებისმიერი აქციონერისთვის, მისი მოთხოვნის შესაბამისად. უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წელს ჩატარებული იქნა საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს 23 სხდომა, რომელზეც განიხილეს 89 საკითხი.

საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობა ორგანიზებული იყო სამუშაოს დამტკიცებული გეგმის შესაბამისად, ხორციელდებოდა გადაწყვეტილებების შესრულების რეგულარული კონტროლი. საანგარიშო წელიწადში შეუსრულებელი გადაწყვეტილებები არ ყოფილა.

საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მუშაობის შეფასებისას, უნდა აღინიშნოს, რომ ისინი ყველა თავისი უფლებების განხორციელების და მოვალეობების შესრულების დროს მოქმედებდნენ საზოგადოების ინტერესებში, კეთილსინდისიერად და გონივრულად, აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ყველა სხდომაში.

მომდევნო წლებში სამეთვალყურეო საბჭო უპირველეს ყურადღებას დაუთმობს კორპორაციული მართვის ხარისხის გაუმჯობესების საკითხებს, კომპანიის მომგებიანობის ამაღლებას, ასევე მომსახურების გასაღების ძირითად ბაზრებზე მდგრად, საიმედო და კონკურენტუნარიან პოლიტიკას.

IV. ძირითადი სტრატეგიული მიზნები და მათი რეალიზაცია

საზოგადოების განვითარების სტრატეგიული პრიორიტეტებია:

- მომხმარებელთა უწყვეტი და ხარისხიანი ელექტრომომარაგების უზრუნველყოფა;
- კომპანიის ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა;
- ტარიფების დადგენა, საქართველოს მთავრობასთან მოქმედი საინვესტიციო შეთანხმებების შესაბამისად;
- მომხმარებელთა ელექტრომომარაგების საიმედოობის მაჩვენებლების (SAIDI და SAIFI) გაუმჯობესება, სს „თელასის“ ქსელში ინციდენტების რაოდენობის შემცირება გასული წლის მაჩვენებლებთან შედარებით;
- ქსელის განვითარების 5-წლიანი გეგმის მომზადება და სემეკ-თან შეთანხმება, სემეკ-ის 17.04.2014 წ. 10 დადგენილებით დამტკიცებული „ქსელის წესების“ 90-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად, განვითარების გეგმის ყოველწლიური განახლების და სემეკ-თან მისი შეთანხმების აუცილებლობის შესახებ.

საზოგადოების ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლების სისტემა

ემმ-ს სისტემის თავისებურებები 2017 წელს:

ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლები (ემმ) - ეს არის საზოგადოების ან კონკრეტული თანამშრომლის წარმატების ინდიკატორები, რომლებიც შემუშავებულია საზოგადოების სტრატეგიის საფუძველზე და რომლებიც საზოგადოების ან კონკრეტული თანამშრომლის მუშაობის ეფექტურობის, ასევე საზოგადოების მიზნების რეალიზაციაში მისი წვლილის, სრული შეფასების საშუალებას იძლევა საანგარიშო პერიოდში.

საკონტროლო მაჩვენებლები (სმ) განსაზღვრავს საზოგადოების ან კონკრეტული თანამშრომლის ძირითად საწარმოო ამოცანებს.

სს „თელასისათვის“ ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლები და საკონტროლო მაჩვენებლები შემოღებულია საზოგადოების საქმიანობის მართვის და კონტროლის ფუნქციების სრულყოფის მიზნით.

სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს 14.02.2017წ. გადაწყვეტილებით (ოქმი 172, 14.02.2017 წ.) დამტკიცდა სს „თელასის“ 2017 წლის ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლები (ემმ) და საკონტროლო მაჩვენებლები (სმ) (მიზნების რუკა და ემმ/სმ) და სს „თელასის“ 2017 წლის ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლების (ემმ) და საკონტროლო მაჩვენებლების (სმ) შესრულების გაანგარიშების და შეფასების მეთოდიკა.

სს „თელასის“ 04.07.2017წ. 474 ბრძანებით დამტკიცდა ინდივიდუალური ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლების (ემმ) და საკონტროლო მაჩვენებლების (სმ) რუკები შემდეგი თანამდებობისათვის: კომერციული დირექტორი, ფინანსური დირექტორი,

ტექნიკური დირექტორი, კორპორაციული განვითარებისა და საწარმოო საქმიანობის უზრუნველყოფის დირექტორი.

2017 წელს საზოგადოების საქმიანობის ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლები:

სს „თელასის“ 2017 წლის ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლების (ემმ) ნაწილში, მიზნების რუკაში შედის ისეთი მაჩვენებლები, როგორებიცაა:

ემმ 1. EBITDA 2017 წლის ბიზნეს გეგმის მნიშვნელობიდან.

ემმ 2. 2017 წლის საინვესტიციო პროგრამის შესრულება;

ემმ 3. საოპერაციო ფულადი ნაკადი 2017 წლის ბიზნეს გეგმის მნიშვნელობიდან;

ემმ 4. ელექტროენერჯის დანაკარგები 2017 წლის ბიზნეს გეგმის მნიშვნელობიდან;

ემმ 5. ქსელების 1 კმ-ზე პერსონალის რიცხოვნობა 2017 წლის ბიზნეს გეგმის მნიშვნელობიდან.

საკონტროლო მაჩვენებლები (სმ)

სმ 1. ავარიების (წონა 40%) ან უბედური შემთხვევების (წონა 30%) არარსებობა ან ტრავმატიზმის სიხშირის კოეფიციენტის (წონა 30%) შესრულება;

სმ 2. შემოდგომა-ზამთრის პერიოდში მუშაობისათვის მზადყოფნის პასპორტის მიღება (არსებობა);

სმ 3. საანგარიშგებო და საშემსრულებლო დისციპლინის დაცვა და კორპორაციული ღონისძიებების გეგმის შესრულება;

სმ 4. სსს „ინტერ რაო“-ს შიდა აუდიტის ბლოკის მიერ გეგმიური და არაგეგმიური შემოწმების შედეგების მიხედვით არსებითი შენიშვნების არარსებობა;

სმ 5. შიდა საკრედიტო რეიტინგი;

სმ 6. ფასს-ის მიხედვით ჯგუფის ანგარიშგებასთან დაკავშირებული ღონისძიებების გეგმის შესრულება.

2017 წელს ემმ-ს და სმ-ს შესრულების შედეგები:

2017 წელს ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლების (ემმ) და საკონტროლო მაჩვენებლების (სმ) შესრულების შედეგები, სს „თელასის“ კორპორაციული ღონისძიებების ჩატარების გეგმის შესაბამისად, განხილული იქნება 2018 წლის აპრილში.

V. საზოგადოების მდგომარეობა დარგში: ბაზარი, მარკეტინგი, გაყიდვები

სს „თელასი“ არის უმსხვილესი ელექტროქსელური და გასაღების ორგანიზაცია ქ. თბილისში - ქვეყანაში ელექტროენერჯის მოხმარების 23% მოდის კომპანიაზე. სს „თელასი“ ელექტროენერჯის (სიმძლავრის) შექმნას ახორციელებს ელექტროენერჯის (სიმძლავრის) საბითუმო და საცალო ბაზრებზე, ქ. თბილისის და მიმდებარე სოფლების მომხმარებელთა მომსახურების მიზნით. საზოგადოების საქმიანობის ძირითადი სახეობებია:

- ელექტროენერჯის შესყიდვა და გაყიდვა;
- ელექტრული ქსელების მომსახურება და ექსპლუატაცია;
- ელექტროენერჯის ტრანზიტის მომსახურება;
- აბონენტების ტექნიკური მომსახურება;
- ქ. თბილისში ელექტრომომარაგების, წყალმომარაგების და დასუფთავების ერთიანი ინტეგრირებული და კოორდინირებული სისტემის ადმინისტრირება.

2017 წელს დარგის განვითარების საერთო ტენდენციებს სს „თელასი“ აფასებს, როგორც ზომიერად ოპტიმისტურს, რაც დაკავშირებულია საანგარიშო წელში მომხდარ შემდეგ მოვლენებთან, რომლებმაც არსებითი ზეგავლენა მოახდინა დარგზე:

- ქვეყანაში ელექტროენერჯის საერთო მოხმარების ზრდა;
- ინფლაციური პროცესები, რომლებიც დაკავშირებული იყო ეროვნული ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილებასთან უცხოური ვალუტის მიმართ;
- თურქეთის მიმართულებით ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ზრდა და თურქეთში ელექტროენერჯის ბაზარზე არასტაბილური ფასები;
- ქვეყანაში ენერგეტიკულ სექტორზე მნიშვნელოვანი სოციალურ-პოლიტიკური ზეწოლა.

საზოგადოების განვითარების ტენდენცია საერთოდარგობრივი ტენდენციების ფონზე მნიშვნელოვნად უკეთესად გამოიყურება.

ძირითადი სავარაუდო ნეგატიური ფაქტორები, რომლებიც შეიძლება უახლოეს წლებში უარყოფითად აისახოს საზოგადოების განვითარების ტემპებზე, შემდეგია:

- დარგის საქმიანობის მარეგულირებელ საკანონმდებლო-ნორმატიული აქტების ხშირი ცვლილებები; ეროვნული ვალუტის მაღალი ვოლატილობა სარეზერვო ვალუტების მიმართ;
- ინფლაციის მაღალი ტემპი.

საზოგადოების ძირითადი ამოცანაა უდანაკარგო საქმიანობის უზრუნველყოფა, მოგების და მდგრადი ფულადი ნაკადების მიღება. დარგში თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად სს „თელასმა“ მიიღო შემდეგი ზომები:

- ელექტროენერგეტიკის ბაზარზე სიტუაციის ანალიზი და პროგნოზირება;
- პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, ბიზნეს-პროცესების, ამოცანებისა და მიზნების სრულყოფა, რომლებიც აკმაყოფილებს წარმატებული საქმიანობის ახალ მოთხოვნებს;
- სერვისული მომსახურების ჩამონათვალის გაფართოება, რაც ხელს უწყობს მომხმარებლების მომსახურების ხარისხის ამაღლებას;
- საინფორმაციო გახსნილობა, საოპერაციო და საწარმოო საქმიანობის სისტემის გამჭვირვალობა;
- ფინანსური კონტროლის გაძლიერება და დანახარჯების შემცირების პროგრამების დანერგვა;
- შესყიდვების, სამუშაოების და მომსახურების სფეროში კონკურენტული გარემოს ფორმირება.

აღნიშნული ღონისძიებების კომპლექსის რეალიზაცია საშუალებას მისცემს სს „თელასს“ შეინარჩუნოს ლიდერობა ელექტროენერჯის გასაღების ბაზარზე და ხელს შეუწყობს ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებას.

ძირითადი შესაძლებელი ფაქტორები, რომლებიც უახლოეს მომავალში შეიძლება აისახოს საზოგადოების განვითარების ტემპებზე შემდეგია:

- ცვლილებები დარგის საქმიანობის მარეგულირებელ საკანონმდებლო-ნორმატიულ აქტებში.

რისკების შემცირების ხელშემწყობი ზომების სახით, სს „თელასის“ მართვის ორგანოებს განზრახული აქვთ შემდეგი ზომების გამოყენება:

- თავისი საქმიანობის დეტალური დაგეგმვა;
- ენერგოდამზოვი ღონისძიებების ეფექტურობის შეფასება, მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფების მიერ შესაბამისი მასალების (მოწყობილობების) გამოყენების ეკონომიკური მიზანშეწონილობის ანალიზის ჩათვლით.

დარგში საზოგადოების მდგომარეობაზე ზემოქმედებას ახდენს ასევე კონკურენტული გარემოს განვითარება. ე. თბილისის ტერიტორიაზე სს „თელასის“ ძირითადი კონკურენტია - ქართულ-ჩეხური კომპანია „ენერგო-პრო ჯორჯია“ („Energo-Pro“-ს, ჩეხეთი, შვილობილი კომპანია).

გასაღების (პროდუქციის, მომსახურების) ბაზარზე სს „თელასის“ კონკურენტუნარიანობაზე მოქმედი ფაქტორების სახით შეიძლება გამოყოფილი იქნას შემდეგი:

- მომხმარებელთა მომსახურების ხელმისაწვდომობის მაღალი ტერიტორიული, ორგანიზაციული და ინფორმაციული დონე;
- ელექტროენერჯის ბაზარზე კომპანიის იმიჯი და ავტორიტეტი;
- ელექტრული ენერჯის მოხმარების აღრიცხვის მაღალორგანიზებული და გამჭვირვალე სტრუქტურა.

საზოგადოებას, მომავალში თავისი პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად, დაგეგმილი აქვს შემდეგი მოქმედებები:

- მსხვილ საწარმოებთან მუშაობის სტრატეგიული დაგეგმვა;
- მომხმარებლებთან ურთიერთმოქმედების ფორმების სრულყოფა;
- მომხმარებელთა მომსახურების ხარისხის სრულყოფა;
- ენერგო-სერვისული მომსახურების გაფართოება.

VI. ინფორმაცია ენერგეტიკული რესურსების გამოყენების მოცულობის შესახებ

2017 წელს სს „თელასის“ მიერ გამოყენებული იქნა შემდეგი ენერგეტიკული რესურსები:

1	დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ღირებულება (ათასი ლარი)
1	2	3	4	5
1	ხარჯები ნაყიდ ელექტროენერჯიაზე	ათასი კვტ*სთ	2 991 921	321 791
1.1	ნაყიდი ელექტროენერჯია	ათასი		277 938
1.2	გადაცემა და დისპეტჩერიზაცია	კვტ*სთ	2 991 921	43 853
2	ელექტროენერჯია, სულ	ათასი კვტ*სთ	2 989 787	420 338
	მათ შორის:			
2.1	- რეალიზებული	ათასი კვტ*სთ	2 773 431	415 763
2.2	- ტრანზიტი	ათასი	216 356	4 575

სს „თელასის“ წლიური ანგარიში - 2017

		კვტ*სთ		
3	საავტომობილო ბენზინი	ათასი ლიტრი	269.58	409.75
3.1	ბენზინი „პრემიუმ-ავანგარდი“ (100006264)	ათასი ლიტრი	269.58	409.75
4	დიზელის საწვავი „ევრო“ (100006265)	ათასი ლიტრი	320.06	463.60
5	ტრანსფორმატორის ზეთი (100003063)	კვ	74.21	139.26
6	ტრანსფორმატორის ზეთი (100005461)	კვ	97.08	3.40
7	ტრანსფორმატორის ზეთი NYTRO 11GX-(100008676)	კვ	50.24	279.02
	სულ	ათასი ლიტრი	589.64	873.35
		კვ	221.53	421.69

VII. საზოგადოების საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები. საწარმოო საქმიანობა.

საზოგადოების საქმიანობის ფინანსური მაჩვენებლები

საზოგადოების 2017 წლის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების დინამიკის დახასიათება შეიძლება შემდეგნაირად:

ათასი ლარი

ფინანსურ-ეკონომიკური საქმიანობის მაჩვენებლები	2016 წელი	2017 წელი	% ცვლილებები
ამონაგები	395 872	420 338	6
სხვა ხარჯები	16 067	18 838	17
შესყიდული ელექტროენერგია	(292 731)	(321 791)	10
შრომის ანაზღაურება და მუშაკების სხვა ანაზღაურება	(52 687)	(56 219)	7
ცვეთა და ამორტიზაცია	(9 801)	(11 190)	14
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	(2 737)	(2 931)	7
ფორმირებული და სტორნირებული რეზერვები, ნეტო	684	269	(61)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(18 202)	(18 676)	3
საოპერაციო მოგება	36 465	28 638	(21)
ფინანსური შემოსავლები	1 927	921	(52)
ფინანსური ხარჯები	(1 221)	(4 717)	286
ზარალი კურსის სხვაობის შედეგად, ნეტო	(3,077)	(416)	(86)
მოგება დაბეგვრამდე	34 094	24 426	(28)
სარგებელი/(ხარჯი) მოგების გადასახადის შესაბამისად	4 744	(2 114)	(145)
მოგება წლის განმავლობაში	38 838	22 312	(43)
სხვა ერთიანი (ზარალი)/შემოსავალი, რომელიც არ ექვემდებარება რეკლასიფიკაციას მოგებისა და ზარალის შემადგენლობაში შემდგომ პერიოდებში			

სს „თელასის“ წლიური ანგარიში - 2017

აქტუარული (ზარალი)/შემოსავლები დადგენილი გადახდების მქონე საპენსიო პროგრამიდან	(138)	(125)	(9)
მოგების გადასახადის ზეგავლენა	20	-	(100)
სხვა ერთიანი (ზარალი)/შემოსავალი წლის განმავლობაში, დაბეგვრის გამოკლებით	(118)	(125)	6
სულ ერთიანი შემოსავალი წლის განმავლობაში	38 720	22 187	(43)
საბაზო და გაზავებული მოგება ერთ აქციაზე	0.00034	0.00020	(41)

საზოგადოების საქმიანობის ძირითადი სახეობაა ელექტროენერჯის შესყიდვა და ქ. თბილისში (საქართველო) კომუნალურ-საყოფაცხოვრებო და საწარმოო მომხმარებლებზე განაწილება. საზოგადოების საოპერაციო საქმიანობის შედეგების ანალიზს ხელმძღვანელობა ახორციელებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად მომზადებული ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე.

2017 წელს ელექტროენერჯის და ქსელური მომსახურების რეალიზაციის შედეგად მიღებულმა ამონაგებმა შეადგინა 420 338 ათასი ლარი, რაც 24 466 ათასი ლარით მეტია 2016 წელთან შედარებით.

ამონაგები 2017 წელს გაიზარდა შემდეგი ძირითადი ფაქტორების შედეგად:

1. ამონაგები კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომხმარებლებზე ელექტროენერჯის გაყიდვის შედეგად გაიზარდა 3 242 ათასი ლარით;
2. ამონაგები კომერციულ და სამრეწველო მომხმარებლებზე ელექტროენერჯის გაყიდვების შედეგად გაიზარდა 20 671 ათასი ლარით;
3. ამონაგები ელექტროენერჯის სახელმწიფო სექტორზე გაყიდვების შედეგად გაიზარდა 468 ათასი ლარით;
4. ამონაგები ელექტროენერჯის ტრანზიტიდან გაიზარდა 85 ათასი ლარით.

ელექტროენერჯის შესყიდვისა და განაწილების გარდა, საზოგადოება უზრუნველყოფს ელექტროენერჯის ტრანზიტის მომსახურებას. ელექტროენერჯის ტრანზიტის შედეგად მიღებული ამონაგები წარმოადგენს შემოსავლებს, რომელსაც კომპანია იღებს ელექტროენერჯის ტრანზიტისთვის, რომელსაც მომხმარებლები ყიდულობენ უშუალოდ მიმწოდებლებთან კომპანიის ქსელის საშუალებით. 2015 წლის 3 იანვრიდან, სემეკ-ის N26 დადგენილების თანახმად, ტრანზიტზე ტარიფი შეადგენდა 0,00705-დან 0,05567 ლარი/მგვტ*სთ-მდე. 2017 წლის 1 იანვრიდან, სემეკ-ის N38 დადგენილების თანახმად, ტრანზიტზე ტარიფები გაიზარდა და შეადგინა 0.01270-დან 0.05686 ლარი/მგვტ*სთ-მდე. 2018 წ. 1 იანვრიდან სემეკ-ის 48 დადგენილების თანახმად, ტარიფები ტრანზიტზე გაიზარდა და შეადგინა 0.02058-დან 0.06472 ლარი/მგვტ*სთ-მდე.

2017 წელს მოგებამ შეადგინა 22 312 ათასი ლარი, წელიწადში გეგმიურ მოგებასთან შედარებით 21 883 ათასი ლარის ოდენობით.

საზოგადოების საოპერაციო საქმიანობის შედეგების სტრუქტურა

მაჩვენებლები	ათასი ლარი		
	2016 წელი	2017 წელი	% ცვლილებები
აქტივები			
არასაბრუნავი აქტივები	205 385	236 631	15
საბრუნავი აქტივები	83 656	82 253	(2)
სულ აქტივები	289 041	318 884	10
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი	151 259	153 446	1
გრძელვადიანი ვალდებულებები			
პროცენტუანი კრედიტები, სესხები და თამასუქები	15 612	37 066	137
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	-	-	-
სასამართლო სარჩელების რეზერვები	3 247	2 116	(35)
ანაზღაურებები შრომითი საქმიანობის დასრულებისას	1 270	1 546	22
სახელმწიფო სუბსიდიები	1 364	1 134	(17)
სხვა ვალდებულებები	631	886	40
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	22 124	42 748	93
მოკლევადიანი ვალდებულებები			
პროცენტუანი კრედიტები, სესხები და თამასუქები	5 436	14 340	164
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	83 429	77 174	(7)
მიღებული ავანსები	10 242	14 205	39
სახელმწიფო სუბსიდიები	468	498	6
ანაზღაურებები შრომითი საქმიანობის დასრულებისას	76	84	11
წმინდა საგადასახადო ვალდებულებები	15 028	15 438	3
სასამართლო სარჩელების რეზერვები	876	799	(9)
სხვა ვალდებულებები	85	87	2
გადასახდელი დივიდენდები	18	65	261
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	115 658	122 690	6
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	289 041	318 884	10

საზოგადოების არასაბრუნავი აქტივები გაიზარდა 31 246 ათასი ლარით, ძირითადად, ძირითადი საშუალებების ზრდის შედეგად.

საზოგადოების საბრუნავი აქტივები შემცირდა 1 403 ათასი ლარით, ძირითადად, ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების შემცირების გამო.

ვალდებულება კრედიტორული დავალიანების მიხედვით შემცირდა მმართველობითი და ტექნიკური დავალიანების და ასევე 19,415 ათასი ლარის ოდენობით Silk Road Holdings B.V. სხვა დავალიანების დაფარვის შედეგად.

საზოგადოების აქტივების სტრუქტურის და დინამიკის ანალიზი

2017 წლის ბოლოს სს „თელასის“ აქტივების საერთო ღირებულებამ შეადგინა 318 884 ათასი ლარი. აბსოლუტურ გამოხატულებაში საანგარიშო წლის განმავლობაში აქტივების სიდიდე გაიზარდა 29 843 ათასი ლარით, ძირითადად, ძირითადი საშუალებების ზრდის ხარჯზე. 2017 წ. ბოლოს არასაბრუნავი აქტივების წილი გაიზარდა 31 246 ათასი ლარით, ძირითადად, ძირითადი საშუალებების ზრდის ხარჯზე და შეადგინა 236 631 ათასი ლარი, საბრუნავი აქტივები შემცირდა 1 403 ათასი ლარით და შეადგინა 82 253 ათასი ლარი, ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების შემცირების შედეგად.

საზოგადოების ლიკვიდურობის მაჩვენებლები

მაჩვენებელი	31.12.2016	31.12.2017
აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.18	0.15
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.65	0.60
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.72	0.67

აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი 2017 წლის შედეგების მიხედვით შემცირდა 0,18-დან 0,15-მდე. ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებისათვის გაუარესდა მოკლევადიანი ვალდებულებების დაფარვა, რაც განპირობებული იყო საზოგადოების ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების შემცირებით და ასევე მოკლევადიანი ვალდებულებების ზრდით, რაც გამოწვეულია 30.03.2017წ. სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიასთან“ საკრედიტო ხაზის გახსნაზე ახალი საკრედიტო ხელშეკრულების დადებით, რომლის მიმდინარე ნაწილი, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეადგენს 9 000 ათას ლარს.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტმა შეადგინა 0,60. მოცემული მაჩვენებლის შემცირება ასევე გამოწვეული იყო ფულადი სახსრების და მოკლევადიანი ვალდებულებების ზრდით.

მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი შემცირდა 0,72-დან 0,67-მდე. მოცემული მაჩვენებელი ახასიათებს საწარმოს უნარის შემცირებას განახორციელოს ანგარიშსწორება მიმდინარე ვალდებულებების შესაბამისად. მაჩვენებლის შემცირება ასევე განპირობებულია ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების შემცირებით და მოკლევადიანი ვალდებულებების ზრდით, რაც აგრეთვე გამოწვეულია ახალი საკრედიტო ხელშეკრულების დადებით.

საზოგადოების რენტაბელობის მაჩვენებლები

მაჩვენებელი	31.12.2016	31.12.2017
გაყიდვების რენტაბელობა	9.5%	6.7%
საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა (ROE)	25.7%	14.5%
ერთიანი აქტივების რენტაბელობა (ROA)*	13.4%	7.0%

* მაჩვენებლის ერთიანი აქტივების რენტაბელობა გამოსაანგარიშებლად გამოყენებული მაჩვენებლის „სულ აქტივები“ მნიშვნელობა, შესაბამისი წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

გაყიდვების რენტაბელობის მაჩვენებლის შემცირება დაკავშირებულია საზოგადოების მიერ განხორციელებული გაყიდვებიდან მოგების მაჩვენებლების შემცირებასთან. საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის და ერთობლივი აქტივების რენტაბელობის მნიშვნელობის შემცირება დაკავშირებულია საზოგადოების მოგების შემცირებასთან. 2017 წელს მოგებამ შეადგინა 22 312 ათასი ლარი 2016 წელს 38 838 ათას ლართან შედარებით. წლის განმავლობაში მოგების შემცირება განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით:

- 1) შესყიდულ ელექტროენერგიაზე ხარჯების ზრდა;
- 2) თანამშრომლების ხელფასზე და ანაზღაურებაზე ხარჯების ზრდა,

საზოგადოების პერსონალის თანამდებობრივი სარგოების შრომის ანაზღაურების მიზნობრივი მნიშვნელობების 5% ეტაპობრივი ინდექსაციის და ბიზნეს-ცენტრებში სამორიგეო საათების დამატების გამო, სემეკ-ის 25.07.2016წ. N13 დადგენილების შესასრულებლად;

3) მოგების გადასახადის ზრდა, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების გამო, რომელთა თანახმად, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ სრულად ჩამოწერა თავისი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები, ფასს (IAS) 12 „მოგების გადასახადი“ დაბეგვრის 0% განაკვეთით გადავადებული გადასახადების შეფასებასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც გაუნაწილებელი მოგების მიმართ მოქმედებდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

საზოგადოების ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები

მაჩვენებელი	31.12.2016	31.12.2017
ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი	0.52	0.48
სასესხო და საკუთარი სახსრების თანაფარდობა	0.91	1.08

2017 წელს ბალანსის ვალუტაში საკუთარი კაპიტალის წილი (ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი) შემცირდა და შეადგინა 0,48.

საზოგადოების სასესხო და საკუთარი კაპიტალის ფარდობა გაიზარდა და შეადგინა 1,08 (საკუთარი კაპიტალის ერთ ლარზე მოდის სასესხო კაპიტალის 1.08 ლარი), ვალდებულებების ზრდასთან დაკავშირებით.

მაჩვენებლები გაანგარიშებულია ფასს სტანდარტების შესაბამისად ანგარიშგების მონაცემების თანახმად. საზოგადოების აუდიტორის EY Georgia LLC მიერ გაცემულია აუდიტორული დასკვნა საზოგადოების 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2013 წლის 31 მარტს ხელი მოეწერა მემორანდუმს „ელექტროენერგეტიკის და ადრე მიღწეული შეთანხმებების რეალიზაციის სფეროში თანამშრომლობის განვითარების შესახებ“ საქართველოს მთავრობასა და სსს „ინტერ რაო“-ს შორის. მემორანდუმის თანახმად საზოგადოება ვალდებულია საქართველოს მთავრობას ყოველწლიურად წარუდგინოს საზოგადოების საქმიანობის დიდი ოთხეულის წევრი საერთაშორისო აუდიტორის მიერ გაანგარიშებული და დადასტურებული ეფექტურობის მაჩვენებლები. მემორანდუმის აღნიშნული მოთხოვნის რეალიზაციისათვის, საერთაშორისო აუდიტორულმა კომპანიამ „Deloitte & Touche“ განახორციელა საზოგადოების ეფექტურობის მაჩვენებლების გაანგარიშება, 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის. გაანგარიშება დადასტურებულია სხვა საერთაშორისო აუდიტორული კომპანიის მიერ „EY Georgia LLC“. მიზნობრივი საინვესტიციო დანამატის (მსდ) საბოლოო მაჩვენებელმა შეადგინა 1 484 ათასი ლარი, მემორანდუმის

სს „თელასის“ წლიური ანგარიში - 2017

თანახმად საჭირო მთლიანი შემოსავლის (სმშ) გეგმიური დეფიციტის 6070 ათასი ლარის არსებობისას.

მემორანდუმის მე-2.1.10 პუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ საზოგადოების საქმიანობის ეფექტურობის მაჩვენებლების ფაქტობრივი მნიშვნელობების გაანგარიშების შედეგად 2017-დან 2025 წ-მდე პერიოდში ხორციელდება. მსდ-ს განაწილება საზოგადოებას და საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს შორის წარმოებს მემორანდუმის მე-2.6.8 პუნქტით დადგენილი ამოღების გათვალისწინებით.

საზოგადოების მენეჯმენტის შეფასებით 2017 წლის მსდ განაწილებას არ ექვემდებარება.

აუდიტორის ანაზღაურება

სს „თელასის“ აუდიტორის - „EY Georgia LLC“ ანაზღაურება 31 დეკემბერს დასრულებული 2017 და 2016 წწ. (დღგ-ს გარეშე) შეიცავს:

	2017	2016
წლიური ფინანსური ანგარიშგების ანაზღაურება 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	118	123
ინფორმაციის უტყუარობის დადასტურების მომსახურებაზე გაწეული ხარჯები	57	75
პროფესიონალური მომსახურების გაწევის ხარჯები	4	3
სულ, ანაზღაურება და ხარჯები	179	201

საზოგადოების წლიური ფინანსური ანგარიშგებისთვის სხვა აუდიტორებისა და აუდიტორული კომპანიებისთვის გადასახდელმა ანაზღაურებამ და ხარჯებმა შეადგინა 0 ათასი ლარი (2016: 0 ათასი ლარი), ხოლო სხვა პროფესიონალური მომსახურების გაწევისათვის 22 ათასი ლარი (2016: 33 ათასი ლარი), დღგ-ს გარეშე.

საზოგადოების საქმიანობის საწარმოო მაჩვენებლები

საზოგადოების 2017 წლის ძირითადი საწარმოო მაჩვენებლების დინამიკა შეიძლება დახასიათებული იქნას შემდეგნაირად:

საწარმოო მაჩვენებლები	2016 წელი	2017 წელი	% ცვლილებები
ნაყიდი ელექტროენერჯია, მლნ კვტ*სთ	2 846	2 992	5
- დანაკარგები გადაცემისას, მლნ კვტ*სთ	57	57	0
ქსელში მიღება (გაშვება), მლნ კვტ*სთ	2 789	2 935	5
- ქსელებში ელექტროენერჯიის დანაკარგები, მლნ კვტ*სთ	159	161	1
ელექტროენერჯიის სასარგებლო გაშვება, მლნ კვტ*სთ	2 629	2 773	5

სს „თელასის“ წლიური ანგარიში - 2017

2017 წელს ელექტროენერჯის გაყიდვებიდან მიღებულმა ამონაგებმა შეადგინა 415 763 ათასი ლარი, რაც 17 801 ათასი ლარით მეტია, საზოგადოების ბიზნეს გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით.

ელექტროენერჯის გაყიდვების საერთო მოცულობის სტრუქტურა

		(ათასი ლარი)				
1	დასახელება 2	2016 წელი 3	2017 წელი			
			გეგმა 4	ფაქტი 5	გადახრა	
					(+/-) 6	% 7
1	რეალიზაცია მოსახლეობასა და მასთან გათანაბრებულ მომხმარებლებზე შიდა ბაზარზე	145 064	150 933	147 832	(3 101)	(2)
2	რეალიზაცია საბიუჯეტო საწარმოებზე შიდა ბაზარზე	22 086	23 253	22 553	(700)	(3)
3	რეალიზაცია კომერციულ მომხმარებლებზე შიდა ბაზარზე	218 286	217 725	238 957	21 232	10
4	სხვა რეალიზაცია შიდა ბაზარზე	5 946	6 051	6 421	370	6
სულ გაყიდვები		391 382	397 962	415 763	17 801	4

2017 წელს გაყიდვების ჯამური მოცულობის ზრდა 17 801 ათასი ლარის ოდენობით, განპირობებულია კომერციულ სექტორზე გაყიდვების მოცულობის ზრდით 118.30 მლნ კვტ*სთ ოდენობით (ამონაგების ზრდა 21 232 ათასი ლარით).

გარდა ამისა, შემოსავლები ნაწილში „სხვა რეალიზაცია შიდა ბაზარზე“ გაიზარდა 370 ათასი ლარით, რაც განპირობებულია გაყიდვების ზრდით 1.54 მლნ კვტ*სთ-ით.

მომხმარებლებისათვის ელექტროენერჯის საერთო სასარგებლო გაშვებამ 2017 წელს შეადგინა 2 773 მლნ კვტ*სთ.


ელექტროენერჯის მოხმარების სტრუქტურა აბონენტების კატეგორიების მიხედვით 2016 – 2017 წწ.

		(მლნ. კვტ*სთ)				
1	დასახელება 2	2016 წელი 3	2017 წელი			
			გეგმა 4	ფაქტი 5	გადახრა	
					(+/-) 6	% 7
1	რეალიზაცია მოსახლეობასა და მასთან გათანაბრებულ მომხმარებლებზე შიდა ბაზარზე	937. 52	974. 95	951. 91	(23.04)	(2.4)
2	რეალიზაცია საბიუჯეტო საწარმოებზე შიდა ბაზარზე	148. 79	156. 42	150. 98	(5.44)	(3.5)
3	რეალიზაცია კომერციულ მომხმარებლებზე შიდა ბაზარზე	1504. 05	1510. 65	1628. 95	118.30	7.8
4	სხვა რეალიზაცია შიდა ბაზარზე	38. 93	40. 05	41. 59	1.54	3.8

სს „თელასის“ წლიური ანგარიში - 2017

	სულ გაყიდვები შიდა ბაზარზე	2 629.29	2 682.07	2 773.43	91.36	3.41
5	ელექტროენერჯის რეალიზაცია ექსპორტზე	-	-	-	-	-
	სულ გაყიდვები	2 629.29	2 682.07	2 773.43	91.36	3.41

ელექტროენერჯის მოხმარების სტრუქტურა 2017 წ. აბონენტების კატეგორიების მიხედვით



- რეალიზაცია მოსახლეობაზე და მასთან გათანაბრებულ მომხმარებლებზე შიდა ბაზარზე
- რეალიზაცია საბიუჯეტო საწარმოებზე შიდა ბაზარზე
- რეალიზაცია კომერციულ მომხმარებლებზე შიდა ბაზარზე
- სხვა რეალიზაცია შიდა ბაზარზე

ელექტრული ქსელების დახასიათება

1	დასახელება	განზომილების ერთეული	მაჩვენებლები
1	2	3	4
1	ეგხ-ს საერთო სიგრძე, სულ	კმ	5338.3
	მათ შორის:		
1.1	საჰაერო ეგხ (ჯგაჭვების მიხედვით), სულ	კმ	2184.5
	მათგან:		
1.1.1	- ძაბვის დონე 110 კვ	კმ	247
1.1.2	- ძაბვის დონე 35 კვ	კმ	86.5
1.1.3	- ძაბვის დონე 10 კვ	კმ	126.8
1.1.4	- ძაბვის დონე 6 კვ	კმ	196.8
1.1.5	- ძაბვის დონე 500 ვოლტი და ნაკლები	კმ	1527.4
1.2	საკაბელო ეგხ, სულ	კმ	3153.8
	მათგან:		
1.2.1	- ძაბვის დონე 35 კვ	კმ	47.5
1.2.2	- ძაბვის დონე 10 კვ	კმ	327.7
1.2.3	- ძაბვის დონე 6 კვ	კმ	1330.5
1.2.4	- ძაბვის დონე 500 ვოლტი და ნაკლები	კმ	1448.1
2	მადებლებელი ქვესადგურები 35 კვ და მეტი		
2.1	ქვესადგურების რაოდენობა, სულ	ცალი	40
	მათ შორის:		
2.1.1	მადებლებელი ქვესადგურები 35/6 -10 კვ	ცალი	13
2.1.2	მადებლებელი ქვესადგურები 110 კვ	ცალი	23
2.1.3	გამანაწილებელი ქვესადგურები 6/10 კვ	ცალი	4

სს „თელასის“ წლიური ანგარიში - 2017

2.2	საერთო დადგმული სიმძლავრე	მვა	1698.6
	მათ შორის:		
2.2.1	მადაბლებელი ქვესადგურები 35/6 -10 კვ	მვა	405.6
2.2.2	მადაბლებელი ქვესადგურები 110 კვ	მვა	1293
3	სატრანსფორმატორო ქვესადგურები 10/6/0,4 კვ		
3.1	ქვესადგურების რაოდენობა	ცალი	1986
	მათ შორის:		
3.1.1	გამანაწილებელი პუნქტი	ცალი	5
3.1.2	გამანაწილებელი სატრანსფორმატორო პუნქტი	ცალი	174
3.1.3	დახურული სატრანსფორმატორო პუნქტი	ცალი	1381
3.1.4	კომპლექსური სატრანსფორმატორო პუნქტი	ცალი	419
3.1.5	ანძური სატრანსფორმატორო პუნქტი	ცალი	7
3.2	საერთო დადგმული სიმძლავრე	მვა	1327

ავარიულობა. ტექნოლოგიური დარღვევები

2017 წელს სს „თელასის“ ელექტრული ქსელების მუშაობისას სულ მოხდა 2 437 ტექნოლოგიური ინციდენტი, რაც 15.6% ნაკლებია 2016 წელთან შედარებით (2890 შემთხვევა). 2017 წ. ელექტროენერჯის არასაკმარისმა გაშვებამ შეადგინა 825.7 ათასი კვტ.*სთ, რაც გასულ წელთან შედარებით 32.5% ნაკლებია. ეკონომიკურმა ზარალმა ავარიების შედეგად 2017წ. შეადგინა 57.78 ათასი ლარი, რაც 2016 წელთან შედარებით 32.5% ნაკლებია.

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია ცნობები 2016-2017 წლებში სს „თელასის“ ელექტრულ ქსელებში ინციდენტების, ავარიების და ტექნოლოგიური დარღვევების შესახებ.

	მაჩვენებლის დასახელება	2016 წელი	2017 წელი	გადახრა	
				(+/-)	%
1	ინციდენტები	2890	2437	(453)	(15.6)
2	ავარიები	-	-	-	-
3	ელექტროენერჯის არასაკმარისი გაშვება (ათასი კვტ*სთ)	1222.7	825.7	(397)	(32.5)
4	ეკონომიკური ზარალი ელექტროენერჯის არასაკმარისი გაშვებიდან (ათასი ლარი)	85.55	57.78	(27.77)	(32.5)

ტექნიკური ზედამხედველობა

2017 წლის განმავლობაში საზოგადოების შრომის დაცვისა და სახანძრო უსაფრთხოების განყოფილების ძალებით განხორციელდა საორგანიზაციო-ტექნიკური, საინფორმაციო-მეთოდური, საზედამხედველო და პროფილაქტიკური ღონისძიებების კომპლექსი ელექტრული ქსელების ყველა კლასის ობიექტზე, რაც მიზნად ისახავდა ხანძრების, ავარიების და სხვა ტექნოლოგიური დარღვევების თავიდან აცილებას, მოწყობილობების და პერსონალის

სს „თელასის“ წლიური ანგარიში - 2017

საექსპლუატაციო საიმედოობის გაზრდას, ავარიულობის და ტრავმატიზმის შემცირებას. ელექტროქსელური ობიექტების შემოწმებების შეჯერებული მონაცემები მოყვანილია ცხრილში:

	ცნობები შემოწმებების შესახებ	2016 წელი	2017 წელი
1	ობიექტების შემოწმების საერთო რიცხვი	3868	3808
2	მიწერილობების რაოდენობა	1446	1434
3	ღონისძიებების რაოდენობა მიწერილობებში	4481	3343
	მათ შორის:		
3.1	შესრულებული	3652	3252
3.2	ღონისძიებები, რომელთა ვადა გადატანილია	829	91

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, საზოგადოების ქვედანაყოფებში ხორციელდებოდა საყოველთაო შემოწმებები პერსონალის მიერ შრომის დაცვის და სამრეწველო უსაფრთხოების მოთხოვნათა დაცვის ნაწილში. შემოწმების შედეგების მიხედვით ტარდებოდა ანალიზი, ვლინდებოდა ტრავმასაშიში სიტუაციები და ფაქტორები, მუშავდებოდა ღონისძიებები მათ აღსაკვეთად.

2017 წ. სს „თელასის“ ელექტრულ ქსელებზე ტექნოლოგიური მიერთებები

ახალი აბონენტების მიერთების პროექტები საზოგადოების საქმიანობის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. პროექტები გულისხმობს ახალი აბონენტებისთვის ქსელის მოწყობას საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) 2008 წლის 18 სექტემბრის 20 დადგენილების თანახმად. სამუშაოების მოცულობები, მასალების რაოდენობა ახალი მიერთებების პროექტების მიხედვით მთლიანად არის დამოკიდებული მომხმარებლებისგან შემოსულ მოთხოვნებში მითითებულ მოთხოვნილ სიმძლავრეებზე. სემეკ-ის 2008 წლის 18 სექტემბრის 20 დადგენილების საფუძველზე მიერთებაზე განაცხადების შესრულება უნდა განხორციელდეს განსაზღვრულ ვადაში (20-დან 90 დღემდე სიმძლავრიდან გამომდინარე). მიერთებაზე განაცხადის შესრულების ვადების თითოეული დარღვევა იწვევს ჯარიმებს (50% პაკეტის ღირებულებიდან გამომდინარე), რომლებიც შეიძლება აღემატებოდეს მიერთების ღირებულებას.

2017 წლის განმავლობაში ახალი მომხმარებლებისგან შემოვიდა სულ 3 724 განცხადება მიერთებაზე, ჯამური სიმძლავრით 115 ათ. კვტ, განხორციელდა მომხმარებლების 3 652 ტექნოლოგიური მიერთება ელ. ქსელზე საერთო ჯამური სიმძლავრით 89.1 ათ. კვტ. აქედან, 3637 მიერთება საერთო ჯამური სიმძლავრით 70.1 ათ. კვტ, 0,4 კვ ძაბვაზე (მიერთებების საერთო სიმძლავრის 78.6%), 15 მიერთება, საერთო ჯამური სიმძლავრით 19 ათასი კვტ, 6/10 კვ ძაბვაზე (მიერთებების საერთო სიმძლავრის 21.4%). დარჩენილი 72 განცხადების შესრულების ვადა გადავიდა 2018 წელში.


სს „თელასის“ წლიური ანგარიში - 2017

ახალი მიერთებების მოთხოვნების გარდა, 2017 წლის არსებული მომხმარებლებისგან მიღებული იქნა 2718 განაცხადი სიმძლავრის გაზრდაზე. მათ შორის 2700 განაცხადი 0,4 კვ-ზე, 17 განაცხადი 6/10 კვ-ზე და 1 განაცხადი 35/110 კვ-ზე.

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია სრული მიერთებების რაოდენობა (ახალი მომხმარებლების განაცხადები და განაცხადები სიმძლავრის გაზრდაზე) და მიერთებების ფაქტობრივი სიმძლავრე:

	მიერთების სიმძლავრე	სრული მიერთებების რ-ბა ხელშეკრულებების და ტპ-ების შესაბამისად, ცალი		მიერთებების ფაქტობრივი სიმძლავრე, ათასი კვტ	
		2016 წელი	2017 წელი	2016 წელი	2017 წელი
1	35/110 კვ	0	1	0	5.3
2	6 -10 კვ	30	32	58.9	37.8
3	0,4 კვ	5279	6337	126.01	134.9
	სულ	5309	6370	184.91	178

2016 – 2017 წწ. ტექნოლოგიური მიერთებების დიაგრამა



საქმიანობა რემონტების დარგში


სს „თელასის“ ელექტროქსელური მეურნეობის ობიექტების ტექნიკური მომსახურება და რემონტი ხორციელდება საზოგადოების საკუთარი ძალებით, აგრეთვე მოწვეული კონტრაგენტების მიერ.

2017 წელს რემონტზე ფაქტობრივმა დანახარჯებმა შეადგინა 3 411.22 ათასი ლარი, რაც დაგეგმილ ხარჯებზე 530.19 ათასი ლარით მეტია.

მათ შორის ელექტრული ქსელების რემონტზე ფაქტობრივმა ხარჯებმა შეადგინა 3 269 ათასი ლარი, რაც გეგმით გათვალისწინებულზე 551 ათასი ლარით მეტია, ხოლო არასაწარმოო

სფეროს რემონტების ხარჯებმა შეადგინა ფაქტის შესაბამისად 142.22 ათასი ლარი, გეგმიურ 123.93 ათას ლართან შედარებით.

რემონტების სტრუქტურა 2017 წელში




ელექტროენერჯის დანაკარგები ელექტრულ ქსელებში

2017 წელს საზოგადოების მიერ შესყიდული იყო 2 992 მლნ კვტ*სთ ელექტროენერჯია. გადაცემის დროს დანაკარგებმა მაღალი ძაბვის ქსელებში შეადგინა 57 მლნ კვტ*სთ. ქსელში გაშვებამ შეადგინა 1.91%, ანუ 57 მლნ კვტ*სთ. ქსელში გაშვებამ შეადგინა 2 935 მლნ კვტ*სთ. მომხმარებლისათვის სასარგებლო გაშვებამ შეადგინა 2 773 მლნ კვტ*სთ. სს „თელასის“ ქსელში ელექტროენერჯის ჯამურმა დანაკარგებმა შეადგინა 161 მლნ კვტ*სთ.

2017 წელს დანაკარგების მაჩვენებლები დაგეგმილი იყო 2.07% დონეზე, ანუ 60,02 მლნ კვტსთ. ფაქტის მიხედვით ე/ე დანაკარგებმა გადაცემის დროს შეადგინა 1.91%, ანუ 57,11 მლნ კვტსთ ე/ე, რაც არ აღემატება N17 (2016 წლის 11 მაისი) დადგენილებით 4.41% ოდენობით დადგენილ ლიმიტს.

ქსელებში ელექტროენერჯის შესყიდვის, განაწილების და დანაკარგების დიაგრამა



VIII. საზოგადოების განვითარების პერსპექტივები

საზოგადოების განვითარების ძირითადი პერსპექტივებია:

- საზოგადოების შემოსავლების ზრდა და დებიტორული დავალიანების შემცირება;
- საზოგადოების ელექტრულ ქსელებში ელექტროენერჯის დანაკარგების მინიმიზაცია;
- მომხმარებლების მომსახურების საიმედოობის და ხარისხის ამაღლება;
- სისტემის დანერგვა საზოგადოების მომხმარებლების საგადახდო დისციპლინის ასამაღლებლად.

აგრეთვე, 2017-2022წ.წ. საინვესტიციო პროგრამის შესაბამისად, SAP სისტემის ფუნქციონალების განვითარების ნაწილში 2018-2019 წწ. პერიოდში დაგეგმილია SAP სისტემის შემდეგი ფუნქციონალების დანერგვა:

BW – მონაცემების საცავი– შემდგომი განვითარება;
მონაცემების არქივირება.

BW სისტემის შემდგომი განვითარება უზრუნველყოფს უკვე არსებული ანგარიშგების ფორმირების სისტემის გაფართოებას, რაც შესაძლებელს გახდის ინფორმაციის ანალიზს კროსს-მოდულურად სხვადასხვა განზომილებებში, რაც ძალზე მნიშვნელოვანია სწორი გადაწყვეტილებების დროულად მიღებისთვის. მონაცემების არქივირება აუცილებელია SAP სისტემის მუშაობის სისწრაფის ასამაღლებლად.

სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით (ოქმი 181, 14.06.2017 წ.) საზოგადოებაში დამტკიცებულია სს „თელასის“ არაპროფილური აქტივების გასხვისების პროგრამა და რეესტრი.

პროგრამა ადგენს საზოგადოების აქტივების არაპროფილური აქტივებისათვის მიკუთვნების კრიტერიუმებს, არაპროფილური აქტივების რეესტრის წარმოების წესს, არაპროფილური აქტივების ღირებულების განსაზღვრის მიდგომებს და არაპროფილური აქტივების გასხვისების ძირითად დებულებებს. არაპროფილური აქტივების მართვის ფარგლებში პროგრამა შეიცავს შემდეგ ძირითად ამოცანებს:

- არაპროფილური აქტივების გამოვლენის წესს;
- არაპროფილური აქტივების რეესტრის ფორმირებას;
- არაპროფილური აქტივების რეალიზაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების გეგმის შემუშავებას;

- სარეალიზაციოდ განკუთვნილი არაპროფილური აქტივების შეფასების წესს;
- არაპროფილური აქტივების განკარგვის პროგრამის რეალიზაციის მიმდინარეობის

შესახებ ანგარიშგების მომზადებას და წარდგენას.

არაპროფილური აქტივების რეესტრის თანახმად, სს „თელასს“ აქვს, როგორც გასასხვისებელი, ისე შესანარჩუნებელი არაპროფილური აქტივები. გასასხვისებელ არაპროფილურ აქტივებს განეკუთვნება აქტივების ნაწილი 7 ერთეულის რაოდენობით, სანავარდოს ქ. 7, ასევე არაპროფილური აქტივები 2 ერთეულის რაოდენობით ნაგომარის ქ.

49, რომლებიც განეკუთვნება საზოგადოების დროებით გამოუყენებელ ძირითად საშუალებებს.

სს „თელასის“ წლიური ანგარიში - 2017

ასევე შესანარჩუნებელი არაპროფილური აქტივებს განეკუთვნება სანავარდოს ქ. 7 მდებარე აქტივების ნაწილი 2 ერთეულის რაოდენობით.

საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს მიერ (ოქმი 181, 14.06.2017წ.) დამტკიცებული, არაპროფილური აქტივების განკარგვასთან დაკავშირებული ღონისძიებების გეგმის თანახმად, გასასხვისებელი არაპროფილური აქტივების რეალიზაციის დასრულება დადგეგმილია 2018 წლის მე-2 კვარტალში.

31.12.2017წ. მდგომარეობით, გასასხვისებელი არაპროფილური აქტივების ნარჩენი ღირებულება შეადგენს 414 747.04 ლარს, ხოლო შესანარჩუნებელი არაპროფილური აქტივების - 16 157.34 ლარს.

IX. საინვესტიციო საქმიანობა

საზოგადოება ახორციელებს საინვესტიციო პოლიტიკას ეკონომიკური ეფექტურობის და მიზანშეწონილობის პრინციპების საფუძველზე. საზოგადოების საინვესტიციო საქმიანობის ძირითადი პერსპექტიული მიმართულებებია: კომერციული დანაკარგებისა და ავარიულობის შემცირება, ელექტროქსელის საიმედოობის და უსაფრთხოების ამაღლება და საწარმოო სიმძლავრეების გაფართოება.

2017 წელს საზოგადოებამ განახორციელა საინვესტიციო დაბანდებები (ათვისებასთან დაკავშირებით) თანხით 41 135 ათასი ლარი. საინვესტიციო საქმიანობის შესახებ ანგარიშის შესაბამისად, ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციაში შეყვანა განხორციელდა 36 539 ათასი ლარის ოდენობით, გეგმიურ 30 425 ათას ლართან შედარებით, რაც შეადგენს საინვესტიციო პროგრამის 120% შესრულებას.

2017 წელს პროექტების და სამუშაოების დაფინანსების წყარო იყო საზოგადოების საკუთარი სახსრები. ქვემოთ მოყვანილია ინვესტიციების დაფინანსების სტრუქტურა.

		(ათასი ლარი)			
მუხლების დასახელება		გეგმა	ფაქტი	გადახრა	
1	2			(+/-)	%
1	2	3	4	5	6
1	საკუთარი წყაროები	34 322	41 135	(6 813)	120
	მათ შორის:				
1.1	ამორტიზაცია	11 464	11 190	274	98
1.2	გასული პერიოდების მოგება	14 493	18 656	(4 163)	129
1.3	სხვა საკუთარი წყაროები	8 365	11 288	(2 923)	135
	სულ	34 322	41 135	(6 813)	120

X. შესყიდვების საქმიანობა

შესყიდვების საქმიანობის განხორციელებისას საზოგადოება ხელმძღვანელობს შემდეგი ნორმატიული დოკუმენტებით:

- სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს 01.07.2016 წ. გადაწყვეტილებით, ოქმი N160, დამტკიცებული დებულება სს „თელასისთვის“ საჭიროებისათვის საქონლის, სამუშაოების და მომსახურებების რეგლამენტირებული შესყიდვების ჩატარების წესის შესახებ;


სს „თელასის“ წლიური ანგარიში - 2017

- სს „თელასის“ 17.06.2016 წლის 398 ბრძანებით დამტკიცებული, სს „თელასის“ შწკპ-ს ფორმირების, კორექტირების და შესრულების კონტროლის ბიზნეს-პროცესის რეგლამენტი;
- სს „თელასის“ 26.12.2016 წლის 770 ბრძანებით დამტკიცებული, სს „თელასის“ ცენტრალური შემსყიდველი ორგანოს მუშაობის ბიზნეს-პროცესის რეგლამენტი.

2017 წელს ჩატარდა რეგლამენტირებული საკონკურსო და კონკურსგარეშე შესყიდვა 472 ლოტის მიხედვით. სს „თელასის“ საჭიროებისათვის საქონლის, სამუშაოების, მომსახურების შესყიდვაზე საერთო ფაქტობრივმა თანხამ საანგარიშო პერიოდში შეადგინა 49 977 ათასი ლარი. აქედან 46 470 ათასი ლარი (ფაქტობრივი შესყიდვების საერთო მოცულობის 92.98%) შეადგინა საკონკურსო შესყიდვების ხარჯებმა, ხოლო 3 507 ათასი ლარი (ფაქტობრივი შესყიდვების საერთო მოცულობის 7.02%) შეადგინა არასაკონკურსო რეგლამენტირებული შესყიდვების ხარჯებმა.

2017 წელს რეგლამენტირებული შესყიდვების სტრუქტურა შესყიდვების სახეობების მიხედვით

	შესყიდვების ხერხი	ლოტების საბოლოო ღირებულება (ათასი ლარი, დღგ-ს გარეშე)	ლოტების რაოდენობა.	% შესყიდვების საერთო თანხიდან
1	შესყიდვა ერთადერთ წყაროსთან	3 507	59	7.02
2	წინადადებების ღია გამოკითხვა	42 442	182	84.92
3	ფასების ღია გამოკითხვა	1 221	67	2.44
4	ფასების დახურული გამოკითხვა	78	2	0.16
5	ღია კონკურსი	937	3	1.87
6	გარკვეული შესყიდვები 25 ათას ლარამდე	122	4	0.24
7	შესყიდვების გამარტივებული პროცედურა	1 671	155	3.34
სულ		49 977	472	100



XI. საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული რისკის ძირითადი ფაქტორების აღწერილობა

სს „თელასის“ რისკების მართვის სისტემა (რმს) წარმოადგენს სსს „ინტერ რაო“-ს ჯგუფის რისკების მართვის კორპორაციული სისტემის ნაწილს. საზოგადოების რმს-ს ფარგლებში დამტკიცებულია შემდეგი დოკუმენტები, რომლებიც ახორციელებს საზოგადოების რისკების გამოვლენის, შეფასების და მართვის პრინციპებისა და მიდგომების რეგლამენტირებას:

1. სს „თელასის“ რისკების მართვის პოლიტიკა (სამეთვალყურეო საბჭოს ოქმი 148, 18.12.2015წ.);
2. სს „თელასის“ რისკების მართვის ბიზნეს-პროცესის რეგლამენტი (სამეთვალყურეო საბჭოს ოქმი 153, 24.02.2016წ.);
3. პროცესის რეგლამენტი „სს „თელასის“ ფინანსური რისკების მართვა“ (სამეთვალყურეო საბჭოს ოქმი 185, 21.08.2017წ.);
4. სს „თელასის“ რისკ-აპეტიტის და მტკივნეულობის ზღვარის შეფასების მეთოდის (გენერალური დირექტორის 353 ბრძანება, 01.11.2013წ.);
5. სს „თელასის“ კრიტიკული რისკების რუკის ფორმირების მეთოდის (გენერალური დირექტორის 24 ბრძანება, 23.01.2017 წ.);
6. სს „თელასის“ ფინანსური რისკების მართვის მეთოდის (სამეთვალყურეო საბჭოს ოქმი 185, 21.08.2017წ.);
7. სს „თელასის“ კრიტიკული რისკების რუკის ფორმირების მეთოდის (გენერალური დირექტორის 24 ბრძანება, 23.01.2017 წ.).

რისკების მართვა ხორციელდება რისკების მართვის სისტემის კომპანიაში შემუშავებული ძირითადი დოკუმენტებით, რომლებიც დამტკიცებულია საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს მიერ (ოქმი 185, 21.08.2017წ.) - კრიტიკული რისკების რუკით და 2017 წელს კრიტიკული რისკების მართვის ღონისძიებების გეგმით.

სს „თელასის“ საქმიანობის ძირითადი სახეობაა მომხმარებელთა ელექტროენერგიით და ქსელური მომსახურებით (ელექტროენერგიის გადაცემა) უზრუნველყოფა ქ. თბილისში. საზოგადოების საქმიანობაში შესაძლო რისკებს, რომლებმაც შესაძლებელია ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოების საქმიანობაზე, წარმოადგენს:

დარგობრივი რისკები. დარგობრივ რისკებს შეიძლება მიეკუთვნოს სახელმწიფოს მიერ ტარიფების დაუსაბუთებელი რეგულირება და რისკი, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) მიერ ისეთი ტარიფების შესაძლო დამტკიცებასთან, რომელიც არ ფარავს საზოგადოების ხარჯებს. კომპანიაში ტარდება გეგმაზომიერი მუშაობა სემეკ-თან ამ რისკის წარმოქმნის თავიდან აცილების მიზნით. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) 27.12.2017 წ. 48 დადგენილებით შეტანილი იქნა ცვლილებები სემეკ-ის 04.12.2008წ. დადგენილებაში 33 “ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“. აღნიშნული ცვლილებების შესაბამისად, 2018 წლის 1 იანვრიდან სს „თელასისთვის“ დადგინდა ახალი ტარიფები ელექტროენერგიის განაწილებაზე, გატარებასა და მოხმარებაზე არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებისა და სატრანზიტო აბონენტებისთვის ძაბვის მიხედვით.

ქვეყნის და რეგიონალური რისკები. ქვეყანასა და რეგიონთან დაკავშირებულ რისკებს მიეკუთვნება რისკები, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს კანონმდებლობის, საგადასახადო პოლიტიკის, სახელმწიფო რეგულირების პირობების შეცვლასთან. საანგარიშო პერიოდში საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებას, რომელმაც სს „თელასის“ ფინანსურ მდგომარეობაზე ჰქონოდა ზეგავლენა, წარმოადგენს საქართველოს საგადასახადო კოდექსის ცვლილება, რომლის თანახმად კომპანია იბეგრება მოგების გადასახადით დივიდენდების სახით მოგების განაწილების შემთხვევაში.

ქ. თბილისის ეკონომიკური განვითარება, რაც ზემოქმედებას ახდენს სს „თელასის“ ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობასა და ოპერაციების რენტაბელობაზე, ძირითადად ხელსაყრელია.

რეგიონში არ არსებობს შესაძლო საომარ კონფლიქტებთან, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასა და გაფიცვებთან დაკავშირებული რისკები.

ფინანსური რისკები. თავისი საქმიანობის პროცესში საზოგადოება ექვემდებარება ფინანსური რისკის სხვადასხვა ფაქტორებს, უცხოური ვალუტის კურსის, საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენის, საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დაუცველობის, გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის რისკის ჩათვლით.

ინფლაცია და სავალუტო კურსი. საზოგადოება ექვემდებარება სავალუტო რისკს შესყიდვებსა და კრედიტებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოხატულია ლარისაგან განსხვავებულ ვალუტაში. საზოგადოება არ ახორციელებს კომპანიის სავალუტო რისკისადმი დაქვემდებარების დაზღვევას. ქვემოთ მოცემულია ლარის კურსის დინამიკა აშშ დოლარის მიმართ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში:

თვე	გეგმა	ფაქტი
იანვარი	2.71	2.7061
თებერვალი	2.58	2.5837
მარტი	2.45	2.4452

აპრილი	2.45	2.4416
მაისი	2.45	2.4274
ივნისი	2.47	2.4072
ივლისი	2.49	2.4009
აგვისტო	2.49	2.4274
სექტემბერი	2.51	2.4767
ოქტომბერი	2.53	2.5873
ნოემბერი	2.53	2.7225
დეკემბერი	2.55	2.5922

საპროცენტო განაკვეთების ცვლილებასთან დაკავშირებული რისკები. შემოსავალი და საოპერაციო ნაღდი ფულადი სახსრების მოძრაობა, არსებითად, არ არის დამოკიდებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებზე. საზოგადოება ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს საპროცენტო განაკვეთის მქონე გრძელვადიანი კრედიტების საბაზრო ღირებულების მერყეობის გამო.

საკრედიტო ხელშეკრულებების პირობებთან დაკავშირებული რისკები. საზოგადოების ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დარღვევის რისკი მომავალში ნაკლებად სავარაუდოა.

გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვასთან დაკავშირებული რისკები. გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვის რისკის ძირითად ფაქტორს, რომელიც ზეგავლენას ახდენს სს „თელასის“ ლიკვიდურობაზე წარმოადგენს გარე კრედიტორების, აქციონერების და სხვა კონტრაგენტების წინაშე სს „თელასის“ მიერ თავისი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობის არარსებობა. საბრუნავი კაპიტალის დეფიციტი იწვევს საოპერაციო ხარჯების ზრდას და საზოგადოების საოპერაციო მოგების შემცირებას.

სამართლებრივი რისკები. სამართლებრივი რისკები შეიძლება წარმოიქმნას საგადასახადო სფეროში, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში სახელმწიფო რეგულირების ცვლილების შედეგად.

მოსახლეობის გადახდისუნარიანობა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების თანახმად (www.geostat.ge) ბოლო წლებში შეიმჩნევა მშპ-ს ზრდის ტენდენცია და უმუშევრობის დონის შემცირება, რაც დადებითად აისახება საერთო ფულადი მასის ზრდაზე.

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსთან, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან (სემეკი) და თბილისის ადმინისტრაციასთან დამყარებული კონსტრუქციული ურთიერთობები, განვითარებული ელექტროქსელური ინფრასტრუქტურის არსებობა, ენერჯის სამომხმარებლო ბაზრის კარგი ცოდნა, საზოგადოების დადებითი საკრედიტო ისტორია, მაღალკვალიფიციური პერსონალი, ხარჯების მართვის გამოცდილება, საინვესტიციო პროგრამების დაფინანსების გამოცდილება საზოგადოებას აძლევს საშუალებას განახორციელოს თავისი საქმიანობა ელექტროენერგეტიკისათვის წაყენებული თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.

XII. საზოგადოების საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობის რისკების და ფულადი ნაკადების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ

საკრედიტო რისკები

კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ კონტრაგენტი ვერ შეძლებს აუცილებელი თანხების დადგენილ ვადაში სრულად გადახდას. ფინანსური აქტივები, რომელთან დაკავშირებითაც კომპანიას წარმოექმნება პოტენციური საკრედიტო რისკი, წარმოდგენილია ძირითადად სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებებით, რესტრუქტურირებული სავაჭრო დებიტორული დავალიანებებით, ასევე ფულადი სახსრებით და მათი ეკვივალენტებით. კომპანია წარმოადგენს მონოპოლისტს ქ. თბილისში და მისი საქმიანობის რეგულირება ხორციელდება განსაზღვრული დებულებებით, ამიტომ საიმედო მომხმარებლების შერჩევასთან დაკავშირებით კომპანიის შესაძლებლობები შეზღუდულია. საკრედიტო რისკის მართვის მიზნით, კომპანია მიმართავს გადაუხდელობის გამო მომხმარებელთა ქსელიდან დროულ გათიშვას, თუმცა, კომპანიის მომხმარებელთა რაოდენობის და მათი გეოგრაფიული ადგილმდებარეობის გათვალისწინებით არსებობს იმის რისკი, რომ ყველა მომხმარებელი - მოვალე იქნება დროულად გათიშული. ასევე არსებობს გათიშული მომხმარებლების მხრიდან უკანონოდ მიერთების რისკიც. ამასთან, კომპანია ემსახურება მომხმარებლებს, რომლებიც მიეკუთვნებიან სოციალური სექტორის კატეგორიას და რომელთა გათიშვაც შესაძლოა უკავშირდებოდეს სირთულეებს მაშინაც კი, თუ ისინი არღვევენ მომსახურების ღირებულების გადახდის პირობებს. პრობლემური მომხმარებლების დროული იდენტიფიცირების და დავალიანებისთვის სათანადო რეზერვების შექმნის უზრუნველსაყოფად ხელმძღვანელობა ახორციელებს რეზერვირების კონსერვატიულ პოლიტიკას. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების, რესტრუქტურირებული დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება გაუფასურების რეზერვის, ასევე ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების გამოკლებით, წარმოადგენს მაქსიმალურ თანხას, რომელიც ექვემდებარება საკრედიტო რისკს. მიუხედავად იმისა, რომ დებიტორული დავალიანების დაფარვის ტემპები დამოკიდებულია ეკონომიკური ფაქტორების ზემოქმედებაზე, კომპანიის ხელმძღვანელობა თვლის, რომ არ არსებობს დებიტორული დავალიანების ღირებულების შემცირებისთვის შექმნილ რეზერვის თანხაზე მეტი თანხის დანაკარგის არსებითი რისკი.

კომპანიას არ გააჩნია საკრედიტო რისკის არსებითი კონცენტრაცია, რადგან მისი პორტფელი დივერსიფიცირებულია დიდი ოდენობის საყოფაცხოვრებო და კომერციული მომხმარებლებით.

ზედმეტი ნაღდი ფული თავსდება ფინანსურ დაწესებულებებში, რომელთაც თანხების განთავსების მომენტისთვის გააჩნიათ დეფოლტის მინიმალური რისკი.

საბაზრო რისკები

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები ძირითადად უკავშირდება კომპანიისთვის დადგენილ ტარიფებს (ტარიფები ზემოქმედებას ახდენს ელექტროენერჯის შეძენის ფასზე და ფასზე, რომელიც შესაძლებელია დადგენილი იყოს აბონენტებისთვის, მოხმარებული ენერჯისთვის). მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს ზოგიერთი ტარიფის დადგენაზე, ტარიფების დონეების თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება მისი მონაწილეობის გარეშე.

სს „თელასის“ წლიური ანგარიში - 2017

ამასთან, კომპანიას გააჩნია ღია პოზიციები საპროცენტო განაკვეთებსა და სავალუტო ინსტრუმენტებთან დაკავშირებით, რომლებიც ექვემდებარება ბაზრის საერთო და სპეციფიური რყევების ზემოქმედებას.

სავალუტო რისკი წარმოიქმნება ვალუტის კურსების ცვლილების ზეგავლენით ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების შესაძლო ცვლილების შედეგად. კომპანია ექვემდებარება უცხოური ვალუტის კურსების ცვლილებებს, რაც ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე.

საქართველოში ფინანსური ინსტრუმენტების განვითარებული ბაზრის არარსებობიდან გამომდინარე, ხელმძღვანელობას არ გააჩნია საშუალება მოახდინოს კომპანიის სავალუტო რისკის ჰეჯირება.

კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში გამოსახული, შემდეგი ფინანსური აქტივები და ვალდებულებები:

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები დოლარებში	2017 (ათასი ლარი)	2016 (ათასი ლარი)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,538	2,619
პროცენტული კრედიტები და სესხები	(15,219)	(20,714)
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	(806)	(1,036)
დავალიანება მშობელი კომპანიის მიმართ	-	(19,415)
ნეტო-პოზიცია 31 დეკემბრის მდგომარეობით	(14,487)	(38,546)

სხვა ვალუტაში გამოსახული თანხები და სავალუტო კურსების შესაბამისი ცვლილებები უმნიშვნელოა რისკის ანალიზის მიზნებისთვის.

ლიკვიდურობის და ფულადი ნაკადების რისკი

ლიკვიდურობის რისკის მართვის სათანადო პრაქტიკა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებას და ფინანსირებას ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების საჭირო მოცულობით უზრუნველყოფას. კომპანიის მოკლევადიანი ვალდებულებების ძირითად ნაწილს წარმოადგენს ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების წინაშე. ხელმძღვანელობის აზრით, ეს კომპანიას აძლევს საკმარის მოქნილობას მათი დაფარვის ვადებთან დაკავშირებით, რაც უზრუნველყოფს მისი ბიზნესის ადეკვატურ ლიკვიდურობას გრძელვადიან პერსპექტივაში.

XIII. ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებული რისკების შიდა კონტროლის და მართვის სისტემის მიმოხილვა

რისკების შიდა კონტროლის და მართვის სისტემა, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან, შედგება რამდენიმე ეტაპისგან:

1. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების უტყუარი ფორმირების უზრუნველყოფის კონტროლი, რომელიც შეესაბამება შემდეგ მოთხოვნებს:

არსებობა და წარმოქმნა – აქტივები, ვალდებულებების და საკუთრების უფლებები არსებობს ანგარიშგების თარიღისთვის და ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებზე ოპერაციები ასახავს მოვლენებს, რომელთაც ნამდვილად ჰქონდა ადგილი საანგარიშო პერიოდში;

სისრულე (დროულობა) – ყველა ოპერაცია და სხვა მოვლენები და გარემოებები, რომელთაც ადგილი ჰქონდა საანგარიშო პერიოდში და ექვემდებარება აღნიშნული პერიოდისთვის მიკუთვნებას, ფაქტობრივად ასახულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებში და ფინანსურ ანგარიშგებაში;

უფლებები და ვალდებულებები – საზოგადოება უფლებამოსილია ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ აქტივებზე და პასუხისმგებელია ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშო თარიღისთვის ასახულ პასივებზე;

შეფასება და განაწილება – ყველა აქტივი, პასივი, შემოსავალი და გასავალი ასახულია ბუღალტრულ აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში კორექტულ შეფასებაში და ბუღალტრული აღრიცხვის მოქმედი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;

სიზუსტე – ყველა ოპერაცია დათვლილია, დაჯამებული და ასახულია ბუღალტრულ აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში სწორად - არითმეტიკულად ზუსტი ციფრებით და პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად;

წარდგენა და გახსნა – ფინანსური ანგარიშგების მუხლები აღწერილია სათანადოდ, კლასიფიცირებული და გახსნილია.

2. იმ რისკების მართვის უწყვეტი პროცესების უზრუნველყოფა, როგორცაა მაგალითად, გამოვლენა, შეფასება და დროული რეაგირება, რაც ზემოქმედებას ახდენს ფინანსური ანგარიშგების არასარწმუნოებაზე.

3. უტყუარი მონაცემების შედარება – ხორციელდება ინფორმაციის ორ და მეტ წყაროს შორის წინააღმდეგობის არარსებობის კონტროლი, თავდაპირველი მონაცემების უტყუარობის დამტკიცების მიზნით (ფინანსური ანგარიშგების მუხლები კონტრაგენტებთან/სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან).

XIV. ანგარიში საზოგადოების აქციების შესაბამისად გამოცხადებული (დარიცხული) დივიდენდების გადახდის შესახებ

საზოგადოების წესდების შესაბამისად (მუხლი 6, პუნქტი 6.3 ქვეპუნქტი 3) აქციების მფლობელებს უფლება აქვთ მიიღონ საზოგადოების მიერ გამოცხადებული დივიდენდები.

2017 წლის 30 მარტს საზოგადოების აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების გადაწყვეტილების თანახმად გადაწყდა ჩვეულებრივ აქციებზე დივიდენდების გადახდა. სს „თელასმა“ გასული წლების გამოუყენებელი მოგება გაანაწილა 20,000 ათას ლარად.

	2014წ. შედგების მიხედვით	2015 წ. შედგების მიხედვით	2016 წ. შედგების მიხედვით	გასული წლების შედგების მიხედვით
დივიდენდების საერთო თანხა	8,802,000 ლარი	-	-	20,000,000 ლარი

სს „თელასის“ წლიური ანგარიში - 2017


დივიდენდების ოდენობა ერთ ჩვეულებრივ აქციაზე	0.08 ლარი	-	-	0.18 ლარი
დივიდენდების ოდენობა ერთ პრივილეგირებულ აქციაზე	-	-	-	-
წმინდა მოგებაში დივიდენდების წილი პრივილეგირებული აქციების შესაბამისად, %	-	-	-	-
დივიდენდების შემოსავლიანობა ჩვეულებრივი აქციების შესაბამისად	0.08 ლარი	-	-	0.18 ლარი

V. საზოგადოების სააქციო კაპიტალის სტრუქტურა

სს „თელასის“ კაპიტალი შეადგენს 112 429 418 ლარს და დაყოფილია 112 429 418 ჩვეულებრივ აქციად, რომელთა ნომინალური ღირებულებაა 1 (ერთი) ლარი თითოეული. სააქციო კაპიტალის საერთო სტრუქტურა, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შემდეგნაირად გამოიყურება:

ფასიანი ქაღალდების კლასი	ბენეფიციარი მესაკუთრის დასახელება/სახელი, გვარი და მისამართი	საკუთრებაში არსებული თანხა და საკუთრების მფლობელობის სახეობა	საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდების კლასების პროცენტული შემადგენლობა
ჩვეულებრივი აქცია	Silk Road Holdings B.V. (ნიდერლანდი)	84 443 957 აქცია 84 443 957.00 ლარის საერთო თანხით	75.108
ჩვეულებრივი აქცია	სს „საპარტნიორო ფონდი“ (საკუთრების უფლებით), „საქართველოს ენერჯეტიკისა და რესურსების (მართვის საქართველო) სამინისტრო“ (საკუთრების უფლებით)	27 577 837 აქცია 27 577 837.00 ლარის საერთო თანხით	24.529
ჩვეულებრივი აქცია	დანარჩენი აქციონერები	407 624 აქცია 407 624.00 ლარის საერთო თანხით	0.363
სულ		112 429 418 აქცია	100

სააქციო კაპიტალის სტრუქტურა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით



XVI. აქციონერთა და აქციონერთა საერთო კრების უფლებების და მათი განხორციელების წესების მიმოხილვა

აქციონერების ძირითადი უფლებები – დივიდენდების მიღების უფლება და საზოგადოების მართვაში მონაწილეობის უფლება – განსაზღვრულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში და საზოგადოების წესდებაში.

საზოგადოების აქციონერებს უფლება აქვთ მიიღონ მონაწილეობა საზოგადოების მართვაში, პირველ რიგში აქციონერთა კრებაზე მათ კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების გზით.

საზოგადოების აქციონერებს გააჩნიათ შეუზღუდავი დაშვება საზოგადოების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიღებაზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. აქციონერებთან დაკავშირებით ინფორმაციული პოლიტიკა ხორციელდება წარსადგენი ინფორმაციის სისრულის, ოპერატიულობის, ობიექტურობის და უტყუარობის გათვალისწინებით. საზოგადოება აქციონერებს უზრუნველყოფს წესდების 6.3 პუნქტის მე-4 ქვეპუნქტით განსაზღვრულ დოკუმენტებთან დაშვებით. აქციონერთა მოთხოვნის საფუძველზე საზოგადოება ვალდებულია წარუდგინოს მათ წესდების 20.4 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების ასლები.

აქციონერებს უფლება აქვთ თავისუფლად განკარგონ საკუთარი აქციები მოქმედი კანონმდებლობის დებულებების შესაბამისად. აღრიცხვის სისტემა უზრუნველყოფს აქციებზე საკუთრების უფლებების აღრიცხვის საიმედოობას, ასევე აქციონერების კუთვნილი აქციების თავისუფლად და სწრაფად გასხვისების შესაძლებლობას. საზოგადოების აქციებზე აქციონერის საკუთრების უფლებების ნებისმიერი დარღვევისგან დაცვა ხორციელდება დამოუკიდებელი რეგისტრატორის მიერ აქციონერთა რეესტრის წარმოებით და შენახვით.

აქციონერთა საერთო კრება წარმოადგენს საზოგადოების მართვის უმაღლეს ორგანოს. საკუთარი საქმიანობის წარმართვისას აქციონერთა საერთო კრება ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, საზოგადოების წესდებით და აქციონერთა საერთო კრების შესახებ დებულებით.

აქციონერთა საერთო კრებაზე საზოგადოებამ შესაძლებელია გამოაცხადოს აქციონერებისთვის დივიდენდების გადახდის თაობაზე, განაწილებას დაქვემდებარებულ

მოგებასთან დაკავშირებით, მათი უფლებებისა და პრივილეგიების გათვალისწინებით. საზოგადოება არ არის უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება დივიდენდების გადახდაზე, მოგების არარსებობისას, დაუშვებელია ასევე დივიდენდების გაცემა იმ ოდენობით, რომელიც აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციებს.

საზოგადოების აქციონერთა წლიურ საერთო კრებაზე სავალდებულო წესით განიხილება სამეთვალყურეო საბჭოს არჩევის, საზოგადოების აუდიტორის დამტკიცების, საზოგადოების წლიური ანგარიშის, წლიური ფინანსური ანგარიშის, მათ შორის საზოგადოების მოგება-ზარალის ანგარიშის (მოგების და ზარალის ანგარიშები) დამტკიცების, ასევე საზოგადოების მოგების (მათ შორის დივიდენდების გადახდა (გამოცხადება) და ზარალის ფინანსური წლის შედეგების მიხედვით განაწილების შესახებ საკითხები.

XVII. კორპორაციული მართვა.

საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა

საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო ახორციელებს სს „თელასის“ საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას.

სს „თელასის“ დირექტორების სამეთვალყურეო საბჭოს 2017 წლის მუშაობის შეჯამებისას, აღსანიშნავია, რომ 2017 წლის განმავლობაში ჩატარდა სამეთვალყურეო საბჭოს 23 სხდომა (დასწრებული სხდომა - 2, დაუსწრებელი სხდომა - 21), ხოლო ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რომლებსაც არსებითი გავლენა ჰქონდა საზოგადოების საქმიანობაზე საანგარიშო წელს, შემდეგია:

1. საზოგადოების აქციონერთა წლიური საერთო კრების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები;

2. გადაწყვეტილებები, რომლებიც განსაზღვრავს საზოგადოების ფინანსურ-ეკონომიკურ პოლიტიკას (საზოგადოების 2017 წლის ბიზნეს-გეგმის, საინვესტიციო პროგრამის და მათი შესრულების შესახებ ანგარიშების დამტკიცება).

საზოგადოების წესდების და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა განსაზღვრულია 6 ადამიანით. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის შესაბამისად, თუ სააქციო საზოგადოება ანგარიშვალდებული საწარმოა, რომლის ფასიანი ქაღალდები დაშვებული საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ, საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს, სულ მცირე, ერთი წევრი უნდა იყოს პირი, რომელიც არ არის საზოგადოების თანამშრომელი.

სს „თელასის“ აქციონერთა წლიური საერთო კრების და აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების გადაწყვეტილებების (ოქმი 22.05.2017წ. და ოქმი 27.10.2017წ.) საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში არჩეული იქნენ:

ვოლკოვი დიმიტრი ევგენის ძე - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

დაბადების წელი: 1969

სამუშაო ადგილი: სსს „ინტერ რაო“

თანამდებობის დასახელება ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით: სსს „ინტერ რაო“-ს ცენტრალურ აზიასა და ამიერკავკასიაში აქტივების მართვის ბლოკის ხელმძღვანელი
მოქალაქეობა: რუსეთის ფედერაცია
სამეთვალყურეო საბჭოში პირველად იქნა არჩეული: 28.03.2013
საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების წილი, რომელიც ეკუთვნის პირს: 0%

ჭინჭარაული თემურ გრიგოლის ძე - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

დაბადების წელი: 1944
სამუშაო ადგილი: სს „თელასი“
თანამდებობის დასახელება ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით: სს „თელასის“ გენერალური დირექტორის მრჩეველი
მოქალაქეობა: საქართველო
სამეთვალყურეო საბჭოში პირველად იქნა არჩეული: 15.12.1998
საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების წილი, რომელიც ეკუთვნის პირს: 0%

ოკლეი პაველ ივანის ძე - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

დაბადების წელი: 1970
სამუშაო ადგილი: სსს „ინტერ რაო“
თანამდებობის დასახელება ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით: გამგეობის წევრი - სსს „ინტერ რაო“-ს საწარმოო საქმიანობის ბლოკის ხელმძღვანელი
მოქალაქეობა: რუსეთის ფედერაცია
სამეთვალყურეო საბჭოში პირველად იქნა არჩეული: 06.12.2011
საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების წილი, რომელიც ეკუთვნის პირს: 0%

აბრამკოვი ალექსანდრ ევგენის ძე - სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი

დაბადების წელი: 1977
სამუშაო ადგილი: სსს „როსტელეკომი“
თანამდებობის დასახელება ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით: ვიცე-პრეზიდენტი ადმინისტრაციულ საკითხებში, ვიცე-პრეზიდენტი - მაკრორეგიონალური ფილიალის „ცენტრი“ დირექტორი.
მოქალაქეობა: რუსეთის ფედერაცია
სამეთვალყურეო საბჭოში პირველად იქნა არჩეული: 08.02.2017
საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების წილი, რომელიც ეკუთვნის პირს: 0%

კრილიჩევსკი ევგენი ვიქტორის ძე - სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი

დაბადების წელი: 1973
სამუშაო ადგილი: სს „ობორონენერგო“.
თანამდებობის დასახელება ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით: ფილიალის „სევერო-ზაპადნი“ დირექტორი.
მოქალაქეობა: რუსეთის ფედერაცია
სამეთვალყურეო საბჭოში პირველად იქნა არჩეული: 22.05.2017

საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების წილი, რომელიც ეკუთვნის პირს: 0%

ტყემალაძე ირაკლი ზურაბის ძე - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

დაბადების წელი: 1970

სამუშაო ადგილი: T Group LTD

თანამდებობის დასახელება ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით: T Group LTD-ს დამფუძნებელი და გენერალური დირექტორი

მოქალაქეობა: საქართველო

სამეთვალყურეო საბჭოში პირველად იქნა არჩეული: 27.10.2017

საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების წილი, რომელიც ეკუთვნის პირს: 0%

საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში 2017 წლის განმავლობაში ასევე შედიოდნენ:

კუზნეცოვი დიმიტრი სერგეის ძე - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

დაბადების წელი: 1960

სამუშაო ადგილი: სსს „ინტერ რაო“

თანამდებობის დასახელება ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით: სსს „ინტერ რაო“-ს უსაფრთხოების რეჟიმის ბლოკის ხელმძღვანელი

მოქალაქეობა: რუსეთის ფედერაცია

სამეთვალყურეო საბჭოში პირველად იქნა არჩეული: 20.05.2016

საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების წილი, რომელიც ეკუთვნის პირს: 0%

პახომოვი ალექსანდრ ალექსანდრეს ძე - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

დაბადების წელი: 1973

სამუშაო ადგილი: სსს „ინტერ რაო“

თანამდებობის დასახელება ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით: გამგეობის წევრი - სსს „ინტერ რაო“-ს სამართლებრივი მუშაობის ბლოკის ხელმძღვანელი (03.11.2015წ-მდე)

მოქალაქეობა: რუსეთის ფედერაცია

სამეთვალყურეო საბჭოში პირველად იქნა არჩეული: 28.06.2013

საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების წილი, რომელიც ეკუთვნის პირს: 0%

ჯორბენაძე ვახტანგ სამსონის ძე - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

დაბადების წელი: 1976

სამუშაო ადგილი: სს „საპარტნიორი ფონდი“

თანამდებობის დასახელება ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით: სს „საპარტნიორი ფონდის“ იურისტი

მოქალაქეობა: საქართველო

სამეთვალყურეო საბჭოში პირველად იქნა არჩეული: 26.12.2013

საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების წილი, რომელიც ეკუთვნის პირს: 0%

VIII. საზოგადოების გენერალური დირექტორი

საზოგადოების წესდების შესაბამისად, ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილებას ახორციელებს გენერალური დირექტორი. კოლექტიური აღმასრულებელი ორგანო გათვალისწინებული არ არის.

სამეთვალყურეო საბჭოს 28.03.2013 წ. გადაწყვეტილებით (2013 წლის 28 მარტის ოქმი #94) 2013 წლის 1 აპრილიდან სს „თელასის“ გენერალურ დირექტორად არჩეულ იქნა კობცევი სერგეი ნიკოლაის ძე.

კობცევი სერგეი ნიკოლაის ძე - გენერალური დირექტორი

დაბადების წელი: 1972

სამუშაო ადგილი: სს „თელასი“

თანამდებობის დასახელება ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით: გენერალური დირექტორი

მოქალაქეობა: რუსეთის ფედერაცია

გენერალური დირექტორის თანამდებობაზე პირველად დაინიშნა: 01.04.2013

საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების წილი, რომელიც ეკუთვნის პირს: 0%

XIX. საზოგადოების მიერ 2017 წელს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისათვის გადახდილი ანაზღაურების განსაზღვრის და ოდენობის კრიტერიუმები

სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება აქციონერთა 2009 წლის 11 მარტის საერთო კრებაზე დამტკიცებული სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის ანაზღაურების და კომპენსაციის გადახდის შესახებ დებულების საფუძველზე.

2017 წლის შედეგებით ანაზღაურებებმა შეადგინა:

	გვარი და სახელი	ყველა ანაზღაურების ერთიანი ოდენობა, რომლებიც გადახდილი იქნა 2017 წელს (ლარი)
1	ვოლკოვი დიმიტრი	7,891.01
2	ოკლეი პაველი	6,954.60
3	კუზნეცოვი დიმიტრი	4,268.21
4	აბრამკოვი ალექსანდრე	8,872.83
5	კრილიჩევსკი ევგენი	5,634.79
6	ჭინჭარაული თემური	10,805.59
7	ჯორბენაძე ვახტანგი	8,383.90
8	ტყემალაძე ირაკლი	1,970.28
	სულ:	54,781.21

2017 წლის სექტემბრიდან სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა ვოლკოვმა დ.ე. და ოკლეიმ პ.ი. უარი თქვეს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებში მონაწილეობის ანაზღაურებაზე.

სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის ანაზღაურების და კომპენსაციის გადახდის შესახებ დებულება ითვალისწინებს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის ანაზღაურების გადახდას სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაში მონაწილეობისთვის მისი ჩატარების ფორმის მიუხედავად და ასევე დამატებითი ანაზღაურების გადახდას აქციონერთა საერთო კრების მიერ დივიდენდების გადახდის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ფინანსური წლის შედეგების მიხედვით.

X. საზოგადოების შიდა კონტროლის სისტემის დახასიათება

სს „თელასის“ 15.12.2016 წ. 756 ბრძანების შესაბამისად, შიდა კონტროლის სისტემის კოორდინატორად დაინიშნა საზოგადოების ფინანსური დირექტორი ა.ლ. ბალჩუგოვი.

სს „თელასის“ 25.05.2017წ. 364 ბრძანებით დამტკიცდა სს „თელასის“ შიდა კონტროლის სისტემის ეფექტურობის თვითშეფასების ჩატარების მეთოდიკა.

ასევე სამეთვალყურეო საბჭოს 10.07.2017წ. გადაწყვეტილებით (სს-ს ოქმი 183, 10.07.2017) დამტკიცდა სს „თელასის“ შიდა კონტროლის სისტემის ფუნქციონირების ფარგლებში შიდა კონტროლის სუბიექტების ურთიერთმოქმედების პროცესის რეგლამენტი.

სს „თელასის“ შიდა კონტროლის სისტემა წარმოადგენს საზოგადოების უმაღლესი ხელმძღვანელობის, მენეჯმენტის და სხვა თანამშრომლების მიერ განხორციელებული პოლიტიკის, ორგანიზაციული ღონისძიებების, პროცედურებისა და მოქმედებების ერთიანობას, რომელთაც უნდა უზრუნველყონ საზოგადოების მიზნების მიღწევის გონივრული რწმენა და მისაღებ დონემდე რისკების შემცირება.

საზოგადოების შიდა კონტროლის სისტემა შექმნილია საზოგადოების, მისი ცალკეული ქვედანაყოფების, საზოგადოების მართვის ორგანოების თანამდებობის პირების და საზოგადოების აღმასრულებელი აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის რეგულარული კონტროლის განხორციელების მიზნით საქართველოს კანონმდებლობასთან, საზოგადოების წესდებასა და შიდა დოკუმენტებთან შესაბამისობაზე.

შიდა კონტროლის სფეროში სს „თელასი“ ხელმძღვანელობს შემდეგი მიდგომებით:

მიდგომა 1. კორპორაციული მართვის და შიდა კონტროლის ორგანიზების და ეფექტურობის შეფასებისას შიდა კონტროლის სფეროში საყოველთაოდ აღიარებულ სტანდარტებთან შესაბამისობა.

მიდგომა 2. საზოგადოების ეფექტური კონტროლის გარემოს შექმნა იმ ღონისძიებებისა და მოქმედებების საშუალებით, რომელთაც ახორციელებს ხელმძღვანელობა მართვის ყველა დონეზე.

მიდგომა 3. შიდა კონტროლის ყველა სუბიექტს შორის ინფორმაციის გაცვლის საიმედო და ეფექტური სისტემის ფუნქციონირება, მათ მიერ შიდა კონტროლის ფუნქციებისა და პროცედურების სათანადოდ შესრულების მიზნით.

მიდგომა 4. შიდა კონტროლის პროცესების ეფექტურობის მონიტორინგის სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

საზოგადოების შიდა კონტროლის სისტემა ასევე მოიცავს სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტს, რომლის ამოცანებია რისკების მართვის, შიდა კონტროლის სისტემის და კორპორაციული მართვის საიმედოობის და ეფექტური ფუნქციონირების კონტროლი, სამეთვალყურეო საბჭოსათვის რეკომენდაციების შემუშავება საზოგადოების აუდიტის და

ანგარიშგების სფეროში, გარე აუდიტის ფუნქციის დამოუკიდებლობის და ობიექტურობის უზრუნველყოფა, გარე აუდიტის ჩატარებაზე ზედამხედველობა და აუდიტორული შემოწმების შესრულების და აუდიტორთა დასკვნების შესრულების ხარისხის შეფასება. კონტროლის უზრუნველყოფა საზოგადოების ფინანსური ანგარიშგების სისრულეზე, სიზუსტესა და უტყუარობაზე. საზოგადოების მუშაკების და მესამე პირების არაკეთილსინდისიერი მოქმედებების პოტენციური შემთხვევების (ინსაიდერული ან კონფიდენციალური ინფორმაციის არაკეთილსინდისიერი გამოყენების ჩათვლით), ასევე საზოგადოებაში სხვა დარღვევების შესახებ შეტყობინების სისტემის ფუნქციონირების კონტროლი. კონტროლი საზოგადოების ხელმძღვანელობის მიერ მიღებულ ზომებზე მუშაკების არაკეთილსინდისიერი მოქმედებების ან სხვა დარღვევების პოტენციური შემთხვევების ინფორმირების ფაქტებთან დაკავშირებით.

სს „თელასის“ 22.04.2014 166 ბრძანებით დამტკიცდა დებულება სს „თელასში“ თაღლითობასა და კორუფციასთან ბრძოლის შესახებ.

სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს 08.12.2016წ. გადაწყვეტილებით (ოქმი 166, 08.12.2016წ.) საზოგადოება შეუერთდა სსს „ინტერ რაო“-ს პოლიტიკას თაღლითობასა და კორუფციასთან ბრძოლის შესახებ, რომელიც დამტკიცდა სსს „ინტერ რაო“-ს დირექტორთა საბჭოს მიერ 29.09.2016წ.

პოლიტიკა წარმოადგენს საბაზისო დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს სსს „ინტერ რაო“-ს ჯგუფის საქმიანობის ძირითად მიზნებს, ამოცანებს, პრინციპებს და მიმართულებებს თაღლითობასა და კორუფციასთან ბრძოლის სფეროში, რომლის შექმნის მიზანია ჯგუფის სტრუქტურული ქვედანაყოფების და კომპანიების მუშაკების საქმიანობის კოორდინაცია, რომელიც მიმართულია კანონსაწინააღმდეგო თაღლითური მოქმედებების და კორუფციული გამოვლინებების პროფილაქტიკაზე, გამოვლენასა და აღკვეთაზე, მისი ბიზნეს-პროცესების უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

XXI. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა

პერსონალის მართვა

ადამიანური კაპიტალის განვითარების სფეროში საზოგადოების საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები საანგარიშო პერიოდში იყო მართვის სისტემის ეფექტურობის გაზრდა, მათ შორის, კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა, შრომის მწარმოებლურობის გაზრდა, მუშაკების შრომის დაცვის საკითხები.

საკადრო პოლიტიკა

სს „თელასის“ საკადრო პოლიტიკა საზოგადოების მმართველობითი საქმიანობის და საწარმოო სტრატეგიის შემადგენელი ნაწილია, მიზნად ისახავს ძირითადი მიზნების მიღწევას და საზოგადოების წინაშე დასმული ამოცანების გადაჭრას და ხორციელდება ისეთი შემადგენელების მეშვეობით, როგორცაა:

- ახალგაზრდა სპეციალისტების მოზიდვა;
- მუშაკების მომზადების, სწავლების და კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზება;
- პერსონალის მოტივაციის სისტემის სრულყოფა;

სს „თელასის“ წლიური ანგარიში - 2017


- სოციალური პარტნიორობის განვითარება;
- შრომითი კანონმდებლობის, შრომის დაცვის ნორმების დაცვა და კოლექტიური ხელშეკრულების დებულებების შესრულება.

სს „თელასის“ მუშაკების რიცხოვნობა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 2058 ადამიანს. 2017 წელს საზოგადოებაში გათავისუფლებულ იქნა 47 ადამიანი და სამუშაოზე მიღებული იქნა 56, ასევე სასამართლოს გადაწყვეტილებით სამსახურში აღდგენილი იქნა 2 ადამიანი.

მუშაკების სტრუქტურა კატეგორიების მიხედვით


(ადამიანი)

წელი	ხელმძღვანელები	სპეციალისტები	მოსამსახურეები	მუშები	სულ
2016 წელი	158	504	28	1357	2047
2017 წელი	156	523	28	1351	2058




პერსონალის სტრუქტურა ასაკის მიხედვით

სს „თელასის“ მუშაკების ასაკობრივი დონე 31.12.2017 წლის მდგომარეობით შეადგენს: 25 წლამდე (ჩათვლით) - 24 ად., 26-დან 30 წლამდე - 298 ად., 31-დან 40 წლამდე - 320 ად., 41-დან 50 წლამდე - 619 ად., 51-დან 55 წლამდე - 298 ად. და 55 წელზე უფროსი - 700 ად. 31.12.2017 წლის მდგომარეობით მუშაკთა საშუალო ასაკი შეადგენს 49,83 წელს.



მუშაკების ხარისხობრივი შემაჯგენლობა

სს „თელასის“ მუშაკების ხარისხობრივი შემაჯგენლობა 31.12.2017 წლის მდგომარეობით შემდეგია: მუშაკები უმაღლესი განათლებით - 1413 ად., საშუალო-სპეციალური განათლებით - 287 ად. და საშუალო განათლებით - 358 ად.



სს „თელასის“ საკადრო პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებებია საზოგადოების მუშაკების უწყვეტი პროფესიული სწავლების დაგეგმვა და განხორციელება, რაც მოიცავს პერსონალის მომზადებას, გადამზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას, აგრეთვე, მუშაკების შრომის დაცვის საკითხებს. პერსონალის მომზადება ორიენტირებულია მუშაკის მიერ ახალი ცოდნის მიღებაზე საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი მიმართულებებით, უნარ-ჩვევების განვითარებაზე კონკრეტული სამუშაო სიტუაციების გადასაჭრელად და პროფესიონალურად მნიშვნელოვან სიტუაციებში ქცევის გამოცდილების გამომუშავებაზე. მოცემული პროგრამის მთავარი მიზანია მუშაკების მომზადება უფრო რთული საწარმოო ფუნქციების (მოვალეობების) შესასრულებლად, ახალი თანამდებობების დასაკავებლად, მუშაკის მიმართ მოთხოვნებსა და რეალური სპეციალისტის ან მენეჯერის თვისებებს შორის განსხვავებების დასაძლევად (პროფესიული განვითარება).

2017 წლის განმავლობაში სს „თელასში“ სწავლება და გადამზადება გარე სასწავლო ცენტრებში გაიარა 47 თანამშრომელმა, ასევე სს „თელასის“ შრომის დაცვისა და სახანძრო უსაფრთხოების განყოფილების სასწავლო ცენტრში და საპ სისტემის დანერგვისა და განვითარების განყოფილებაში ჩატარდა 1929 სწავლება.

საწარმოო პერსონალი სრულად დაკომპლექტებულია კვალიფიციური კადრებით. პერსონალის სწავლება ტარდება საქართველოს, რუსეთის ფედერაციის სასწავლო ცენტრებში და საკუთარ სასწავლო ცენტრში - კაბინეტში.

სს „თელასის“ საკადრო პოლიტიკა ორიენტირებულია განვითარებაზე XXI საუკუნის უახლესი ტრენდების შესაბამისად, მათ შორის: კორპორაციული პიროვნებათაშორის ურთიერთმოქმედების პროგრამების განვითარება; ონლაინ კურსების რაოდენობის ზრდა; სამუშაო ადგილებზე ხელოვნური ინტელექტის ექსპანსიის გაუმჯობესება; სამუშაო ძალის შემაჯგენლობის გაუმჯობესება; აქცენტი მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლებასა და გადამზადებაზე და ა.შ.

მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, სს „თელასის“ საკადრო პოლიტიკა აგებულია შემდეგ პრინციპებზე:

1. პერსონალის მართვის სისტემის ურთიერთკავშირი საზოგადოების საქმიანობის ფინანსურ-ეკონომიკურ შედეგებთან;
2. საკადრო სტრატეგიის და პოლიტიკის მოქნილობა;
3. ნებისმიერი დონის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობა თითოეული მუშაკის შრომითი პოტენციალის განვითარებაზე;
4. მუშაკების ანაზღაურება მუშაობის შედეგებიდან გამომდინარე;
5. მუშაკებისათვის ინდივიდუალური თვისებების რეალიზაციისათვის შესაძლებლობების უზრუნველყოფა;
6. პერსონალისათვის საზოგადოების საკადრო სტრატეგიის გახსნილობა და ხელმისაწვდომობა;
7. შესაბამისობის დაცვა მუშაკების კარიერულ ზრდასა და მათი პროფესიონალური დონის ამაღლებას შორის;
8. ფასეულობების კორპორაციული სისტემის და წარმოების კულტურის უზრუნველყოფა და განვითარება.

სოციალური პარტნიორობა

სოციალური პარტნიორობა დამსაქმებელსა და სს „თელასის“ მუშაკებს შორის 2017 წელს ხორციელდებოდა საქართველოს ადგილობრივი და კომუნალური მეურნეობის მომსახურების დარგის მუშაკების პროფკავშირსა და სს „თელასის“ ადმინისტრაციას შორის დადებული კოლექტიური შეთანხმების ფორმატში. კოლექტიური შეთანხმება მიზნად ისახავს საზოგადოების მუშაკების სოციალური და ეკონომიკური უფლებებისა და ინტერესების დაცვის უზრუნველყოფას, მუშაკების საკმარისი ცხოვრების დონის შენარჩუნებას და საზოგადოების ეფექტური მუშაობის უზრუნველყოფას.

10.01.2017 წ. დამტკიცდა „დებულება სს „თელასის“ თანამშრომელთა მატერიალური დახმარების ფონდის შესახებ“, რომელიც შეიქმნა საზოგადოების თანამშრომელთათვის დამატებითი მატერიალური დახმარების გასაწევად, მუშაკის ცხოვრებაში გაუთვალისწინებელი გარემოებების, კრიტიკული მოვლენების წარმოქმნის შემთხვევაში. წლის განმავლობაში მატერიალური დახმარება გაეწია საზოგადოების 58 თანამშრომელს 85790 ლარის ოდენობით.

XXII. გარემოს დაცვა

